


140
1964.

ს
0
2
C
5
0
0
3



მზეს უპოურობს



ნახატები ვაჟა მელიქიძევილინა

ქ. გოგიაშვილი

მოაქვთ დროშები
ფაფარაყრილი,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში
განა დაღლილი,—
გამოწრთობილი,
ძირს არ დახრილი,
ჩვენთვის მშვიდობა,
მტრისთვის—მახვილი.

რა ჭღურტულია, რა ხალისია,—
დღეს ვარდობაა, დღეს მაისია.
დროშებს არხევენ
ალისფერიანს,
ახალთაობა ბედნიერია;
ოქტომბრელები, პიონერები
დიდი ლენინის მზეს უმღერიან:
«დაე, მუდამ იყოს ზეცა,
დაე, მუდამ იყოს მზე,

დაე, მუდამ იყოს დედა,
დაე, მუდამ ვიყო მე».

მოაქვთ დროშები
ფაფარაყრილი,
ბრძოლის ქარცეცხლში
განა დაღლილი,—
გამოწრთობილი,
ძირს არ დახრილი,
ჩვენთვის—მშვიდობა,
მტრისთვის—მახვილი.

რა კრიამული,
რა ხალისია,
დღეს ვარდობაა, დღეს მაისია...
დღეს მაისია,
დღე—მზენათელი;
მოდის სომეხი,
რუსი, ქართველი;
ოქროსფერ სხივებს

მზე ირგვლივ აქსოვს;
სწავლა და შრომა
სულ მუდამ ახსოვთ,
დროშებს არხევენ
ალისფერიანს,
ჩვენი სამშობლო
ბედნიერია.

ოქტომბრელები,
პიონერები
მძლე კომუნისტის
მზეს უმღერიან:
«დაე, მუდამ იყოს ზეცა,
დაე, მუდამ იყოს მზე,
დაე, მუდამ იყოს დედა,
დაე მუდამ ვიყო მე!»

რა სილადეა, რა ხალისია,
დღეს ვარდობაა, დღეს მაისია!



ეკთი სკოლის ეკთი ღღა

იმ დღეს... მორიგი გაკვეთილი რომ დამთავრდა, მოსწავლეებმა მზიარულად ჩამოირბინეს მაღალი კიბე.

სკოლის ეზოში, ახალგაფოსთილ ხეებზე, ოქროსფერი ჩიტები უღურტულდნენ.

ეზო ბავშვების ხალისიანმა სიცილმა აავსო...

— იცი, მანანა, ემა ირემაშვილმა ისტორიაში ოთხიანი მიიღო, — უთხრა VIII კლასის მოსწავლემ ელნარა ზაალიშვილმა მანანა ნონაშვილს. — დედას გეფიცები, ჩემს ხუთიანზე უფრო მისი ოთხიანი გამეხარდა. აგერ, ორ თვეზე მეტია, მე ემას ვეხმარები, ერთად ვმეცადინებთ და... საქმე წინ წავიდა.



ქობულეთის რაიონის უმაღლესი სკოლა, კლასიკური სკოლის განყოფილება

კომუნა

საბავშვო საზოგადოების მომსახურება და სკოლის საბავშვო მოსწავლეთა მოვლის საზოგადოება

5 • მ ა ი ს ი • 1964

საბავშვო საზოგადოების მომსახურება

ეზოში გაზაფხული სუნთქავდა; ვინ—ლეკის ამბობდა ზეპირად, ვინ—გაკვეთილს იმეორებდა, ვინ—უცავილებს ელერსებოდა, ვინ...

შესვენება დამთავრდა.

დაიწყო მორიგი გაკვეთილი.

იმ დღეს... ქიმიის მასწავლებელმა VIII კლასის მოსწავლეებს — ლილა ბალახაძეს და ამირან გეჭაძეს ხუთიანები დაუწერა.

ქიმიას — დოვლათისა და სიუხვის, ბედნიერებისა და სიხარულის წყარო.

ვინ იცის, — იქნებ ლილა ბალახაძე და ამირან გეჭაძე სახელოვანი ქიმიკოსები გახდნენ, იქნებ მათმა დაუშრეტელმა



დატარონ. შემოსწავლებლებს, ახალადმო-
წავლას კავშირების და ვასარს სფერო
ფხ...

08 მდს. იან, მეცნიერ, მესწავრა.
მელს კონსერვაცია თვისებრივ წყაროზე და
აქონდა კანკაზედა სკოლის სახელწოდ
სახელოსნო პეტრა დარეხს მისთვის, ს
მეშო დარეხლები ადრესი და ღირსი, ჩა-
წერბი, მარეხლები დასწავლა მარეხ-
დებულს, თოდა სკოლისმის მე ქანკაზე
მარეხს მებებს მარეხი

08 მდს. მარეხ დარეხური რეხი 1111
კლასი მარეხელ დარეხ სარეხობისთვის—
რე ხ ი დუნის სარეხობის ხარეხობი კონ-
სერვაციის რეხობის რეხობი მარეხი
მარეხი რეხი დარეხობის თოდა მარეხი
მარეხი ღირსი მარეხი რეხი „რეხ ვარს“


08 მდს. ღირსი რეხობი რეხობი კონ-
სერვაციის რეხობი მარეხობის მარეხობის
კლასი მარეხობის მარეხობის მარეხობის
კლასი მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს. მარეხ მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს. მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს. მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

40 წლის წინათ.
1924 წლის 19 მაისს.
რეხი მარეხობის
მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის



კავშირებს აწარმოო კავშირებს... მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს... მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს... მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის

08 მდს... მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის
მარეხობის მარეხობის მარეხობის მარეხობის



ფოტორეპორტაჟი პარტიის რეკონსტრუქციის და მონაწილე კავშირების

აქტი სკოლის აქტი დღე



ბორის მებრალიზვილი

ნახატები

ლიბიტარი მარისტავისა

საშკას ყველანი პატივს ვცემდით. მთელი ჩვენი ეზო. განსაკუთრებით ვაფასებდი მე — რადგან იგი ბევრს კითხულობდა, ყველა ჩვენგანზე მეტს. მეც მინდოდა ბევრი მეკითხა, — არა იმიტომ, რომ პატივისცემით მომპყრობოდნენ, — არა, ისე ჩემთვის. სამწუხაროდ, არაფერი გამომდიოდა, კვირაში ორ წიგნზე მეტის წაკითხვას ვერ ვახერხებდი. საშკა კი დღეგამოშვებით ბიბლიოთეკაში გარბოდა.

ხანდახან ბიბლიოთეკაში მისვლა ერთად გვიხდებოდა და საშკას წაკითხული წიგნების სიას რომ გადავხედავდი, შურით გავიფიქრებდი ხოლმე — მეც ბევრი უნდა ვიკითხო; მაგრამ, მამაჩემის თქმისა არ იყოს, რადგან მე ცოცხალი ადამიანი ვარ და თამაშიც მინდა, კვირაში ორ წიგნს ვერ ავცდი.

საშკაც „ცოცხალი ადამიანი“ იყო და, საკვირველია, რომ ეს სრულებითაც ხელს არ უშლიდა ეკითხა გაცილებით ჩემზე მეტი. მე შევეპყვი და ერთხელ ვკითხე:

— საშკა, წიგნს ყოველთვის ბოლომდე კითხულობ?

საშკას ეწყინა, სქელი ტუჩები მოკუმბა და გაწითლდა.

— ჩვენსა წამოდი და თვითონ გაიგებ, — თქვა მან.

მივედი. მაგიდის უჯრიდან სქელი რვეული ამოიღო და გაშალა. „წაკითხული წიგნების მოკლე შინაარსები“ — ეწერა პირველ გვერდზე. რვეული გამოვართვი და მოწიწებო გადავფურცლე, როგორც ბებიამი ფურცლავს ხოლმე სახარებას. რვეულის ფურცლები საშკას ხელით იყო ჩაჭიკჭიკებული.

— როგორ ასწრებ? — ვეღარ მოვითმინე მე.



— ისე... ვასწრებ. ცოდნა უნდა! — თქვა მან. — გუშინ კი ჟიულ ვერნის „სამოცდაათი ათასი მილი წყალქვეშ“ გამოვითანე, — და საშკამ მოხდენილად გააწლაკუნა ენა. იგი ყველაფერს მოხდენილად აკეთებდა და ამისთვისაც ვაფასებდი მას.

ამ დროს საშკას ბებიაც მოვიდა. ის შესანიშნავი მოხუცი იყო! — მე ხელს არ შეგიშლით, — გვითხრა მან, კამფეტებით გაგვიმასპინძლდა და წიგნის კითხვას შეუდგა. კითხვა ძალიან უყვარდა და ამიტომ ყოველთვის წიგნით ხელში ვხედავდი. აი,



თურმე, რატომ კითხულობს საშუა ასე ბევრს,—დავასკვენი მე.—ეს ალბათ, მემკვიდრეობითაა. მე კი რა მემკვიდრეობა უნდა მქონდეს? ბებიაჩემს სახარების გარდა სხვა არაფერი წაუკითხია! კიდევ კარგი, რომ სახარების სიყვარული არ გამომყვია, თორემ რა მეშველებოდა? ჩემი შვილები კი უსათუოდ დაეწვიან საშუას. შვილიშვილები — გაასწრებენ, შვილიშვილიშვილები... აუ-უ-უ!

— აბა, ჰაიდა, ეზოში! — თქვა საშუამ და, შვილიშვილების წასაკითხი წიგნების როდენობის გამოთვლაში ხელი შემეშალა.

ეზოში დიდხანს ვთამაშობდით ფეხბურთს. მე ყოველწლიურად ვცდილობდი საშუასთვის მიმეწოდებინა ბურთი. მან ჩემი ჩაწოდებულებიდან ორი გოლი გაიტანა. — გოგონებმა ტაშით დააჯილდოვეს. მერე სახლში წავედი, წიგნს ჩავუჩქეი. საშუა ეზოში დარჩა.

ჩვენი ფანჯარა ეზოში გადის. იგი ღია იყო და მე დიდხანს მესმოდა საშუას ხმა, მშურდა მისი — იგი ყველაფერს ასწრებდა!

მეორე დღეს საშუას სადარბაზო შესასვლელის წინ გავიარე. ნაცნობი სტუდენტი ჭიდაობის ილეუებს ასწავლიდა საშუას. ვიდექი და შევცქეროდი. საშუამ ილეუი ვერ გაიმეორა.

— რამე უბრალო მასწავლე, თორემ ეს ძალიან რთულია.

სტუდენტმა გაიღიმა და უთხრა: — ადვილი — ფაფის ჭამა! ეს კი ყველაზე იოლი ილეუთია.

— იოლი კი! — თქვა საშუამ და შარვალი აიჭაჩა.

— კინოში არ წამოხვალ? — ვკითხე საშუას, მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

— რა გადის?

— რაღაც ჭაშუშების შესახებ.

— მართლა?! გავიქცეთ ბებიასთან. დედა შინ არ არის! შეიძლება გამიშვას.

საშუას ბებია მკარგად მიმიღო. სუფრასთან მიმიწვია, მაგიდა ქილებით იყო სავსე. ქილებზე თეთრი ქაღალდი იყო აკრული და ლამაზად ეწერა „ხენდროს მურაბა“. ბებია მამსვა და გამიმასპინძლდა.

— დღეს მოვადულე, — თქვა მან, — ახალი რეცეპტით. გადმოგიღებ კიდევ, სულ ცოტას...

მას სადნომიანი და რბილი ხმა ჰქონდა.

„საშუას კინოში წასვლის ნება დართო. აკი ვამბობდი, რომ საშუას შესანიშნავი ბებია ჰყავს-მეთქი“.

— წავსულვართ! — თქვა ბოლოს საშუამ, — ოღონდ „სამოცდაათი ათასი კილომეტრი წყლქვეშ“ უნდა წამოვიღო და ჩავაბარო.

— კი მაგრამ, ეგ წიგნი ხომ გუშინ გამოიტანე? — გავოცდი მე.

— მერე რა?

— უკვე წაიკითხე?

— შენ როგორ ფიქრობ? — მითხრა საშუამ და ძველებური განჯინიდან რაღაც ფურცელი აიღო, ჯიბისკენ გააქანა, მერე გაზეთებში წიგნი გამოქქეა, ხელი ამიქნია და ორთავემ მოვუსვით.

ბიბლიოთეკაში ცოტა ხალხი იყო და ჩვენმა რიგმაც მალე მოაღწია.

— ოჰო, ისევ შენ? — უთხრა ბიბლიოთეკარმა და იქვე მდგომ სათვალეებიან ბიჭს მიუბრუნდა, — აი, მიშა, ასე უნდა წიგნებს კითხვა. საშუა მალე მთელ ყოველ ვერსს გადაიკითხავს. შენ კი მხოლოდ ჭაშუშების შესახებ მთხოვ წიგნებს.

სათვალეებიანი ბიჭი გაწითლდა.

— აბა, საშუა, გვიამბე ამ წიგნის შინაარსი, იქნებ მიშაც დაინტერესდეს, — უთხრა ბიბლიოთეკარმა.

საშუა აიღანდა. ფერღში ვკარი, — რას გაჩუმი-მეთქი.

— იცით რა, ჩვენ ძალიან ბებია რობო, — თქვა მან.

— შენც მხოლოდ ორიოდ სიტყვით გვითხარი, — აღარ მოეშვა ბიბლიოთეკარი.

გადავწყვიტე ჩავრეულიყავი და მეთქვა — კინოში გაგვიანდება-მეთქი, მაგრამ საშუამ დამასწრო.

— იცით, — თქვა მან, — მე ყოველთვის ვიწერ ხოლმე წაკითხული წიგნების მოკლე შინაარსს...

— სწორია, მე თვითონ ვნახე მისი სქელი რვეული, — ჩავურთე მე.

— სჯობს წაგიკითხოთ, — განაგრძო საშუამ.

— თუ შენ ასე გინდ კეთილი, — თქვა ბიბლიოთეკარმა.

ვიდრე საშუა ჯიბიდან ფურცელს ამოიღებდა, ჩვენს ირგვლივ ბიჭები შეგროვდნენ. ამან სულ გადარია საშუა. ბოლოს როგორ იქნა გაშალა ფურცელი და დაიწყო კითხვა:

— კლავამ ხენდრო სინზე დაალაგა, — წარმოთქვა საშუამ, — აპკურა რომი და სამი საათით ყინულის ნატეხებში ჩადგა. ერთ გირვანქა კენკრაზე, მან ერთი გირვანქა შაქარი და წყალი აიღო. როცა სეროფი აღულდა და ნემის წვერისოდენა ბუმბები გაუშვა...

საშუამ კითხვა შეწყვიტა. ჰოი, ბიჭო, როგორ ხარხარებდნენ ბავშვები, განსაკუთრებით კი — მიშა. იცინოდა ბიბლიოთეკარიც. მე დანა კბილს არ მისხნიდა. ფურცელი ხელიდან წავგლიჯე, — ბებიაშისის ხელწერა ვიცანი. გადავბრუნე და წავიკითხე იგივე ხელით დაწერილი: „უ. ვერნი „80 ათასი კმ. წყალქვეშ“, მოკ. შინაარსი...“

ეს იყო და ეს.

მომავლენდა ის სქელი რვეული. ჰოი, საშუას საბრალო ბებია!

გეგმის



კრეპერ ნიზიარსკი

ნახატები პ. შალვახანი



მარეკ პეგუსის

პრაჩვეულბრივი

თავგადასავალი

— არაფერი, არაფერი... — წაიღულღულა მარეკმა, შემდეგ ჩანთაში დაიწყო ქექვა. არც ერთ რვეულზე არაფერი არ ეწერა. წიგნები კი ახალთახალი და სუფთა იყო, თითქოს ეს-ეს არის გამოიტანეს მაღაზიიდანო.

— ეს ჩემი ჩანთა არაა! იმ ლაწირაკმა შემიცვალა. — ჩაიბურტყუნა მარეკმა.

— ვინ შეგიცვალა? — იკითხა შეცბუნებულმა ჩესეკმა.

— არავინ, ისე... ერთი უცნაური ბიჭი შემხვდა სკვერში. დალაზვროს ეშმაკმა! სად ვიპოვნო ახლა ის ბიჭი!

მარეკის საშინელი სიზმარი პან ანატოლის ღამეული შეძახილები

იმ საღამომ მარეკმა ვერ იქნა და ვერ დაიძინა: ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. გამოცვლილ ჩანთაზე და ოთხთვალეზაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. მაგრამ საშინელი სიზმარი ნახა და ვერც ძილში მოისვენა.

ესიზმრა, ვითომ სკოლიდან გამოიქცა და დიდ, დაბურულ ტყეში მოხვდა. როგორც კი ფეხი გადადგა, ხეების უკნიდან გამოვიდნენ უცნაური ტიპები: ცხენისსიფათიანი კაცები, რომლებსაც შავი სათვალეები ეკეთათ. მარჯვენა ხელი ყველას მოხრილი მოჰქონდა. ოციოდე კაცს წრე შეეკრა და ნელ-ნელა, ყოველ მხრიდან უახლოვდებოდნენ მარეკს. ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ.

„უნდა გავიქეო“, — გაიფიქრა მარეკმა, მაგრამ საითკენაც არ მიბრუნდა, — რალაც მყარ საგანს მიაწყდა, — ყველგან შუშის მსხვრევის ხმა ისმოდა.

შეშინებული მარეკი უკან-უკან იხევდა; უეცრად ვიოლონჩელოს ხმა მოესმა. აჰა, ეტყობა, აქ სადღაც არის პან ფანფარა. მიმოიხედა და რას ხედავს: პან ფანფარა სკამქვეშ წევს, ყურსაცვამი უკეთია და ვიოლონჩელოზე უკრავს.

„გაიღვიძეთ, გეთაყვა, გაიღვიძეთ!“
პან ფანფარამ სკამის ქვეშიდან გამოიხედა:
„რა ამბავია? ვინ იძახის?“

„ნუთუ ვერა ხედავთ, ალყა შემოგვარტყეს!“
პან ფანფარამ ბეცი თვალებით მიმოიხედა:
„მოგეჩვენა, მე ვერავის ვერა ვხედავ“.

იგი ისევ დაწვა და უზარმაზარი ხემი გაუსვა ვიოლონჩელოს სიმებს
უეცრად, პან ფანფარა ფეხზე წამოვარდა და ვიოლონჩელო უზარმაზარი კეტივით ჰაერში დაატრიალა.

— დაიჭირეთ.
არ გაუშვათ!
ქურდები!
ბანდიტები!
გვიშველეთ!
მარეკი წამოჯდა.

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო და თვითონ კი საწოლზე იჯდა თავის ოთახში. მაგრამ ყველაფერი როდი იყო სიზმარი; პან ფანფარა შუა ოთახში იდგა და ნამდვილად ყვიროდა, თან საქსაფონს იქნევდა აქეთ-იქით, — ეტყობოდა, ახალი დაბრუნებული

გაგრძელება. იხ. „ბიონერი“ № 1, 2, 3, 4.



იყო რესტორანიდან, რადგან პალტო ეცვა და შლიაპა ეხებოდა.

ალექსაც გამოლოცებოდა, ნამძინარევი იჯდა, თვალებს ახამხამებდა და პან ფანფარას მიჩერებოდა.

— რა მოხდა, პან ანატოლ? ფანჯრის მინა გატეხეთ?
— მიშველეთ! მომეხმარეთ! ქურდები! — ყვიროდა პან ანატოლი.

შეშინებული ალექი წამოვარდა და მახვილს წამოავლო ხელი. ამ დროს ოთახში შემოცვივდნენ მამა, დედა და მარეკის ორივე და.

— რა მოხდა? — დაიძახა პან პეგუსმა. — ალექ, რაება სჩადი?

ალექი გონს მოვიდა და დარცხვენილმა მახვილი კედელზე მიაყუდა.

— არა, ისე, არაფერია. პან ანატოლმა ფანჯრის მინა გატეხა...

— პან ანატოლ, ასე როგორ შეიძლება! — აღშფოთდა პანი პეგუსოვა.

— ჩქარა! — ყვიროდა პან ფანფარა, — ჩქარა, მილიციამი დარეკეთ. ოთახში ქურდები იყვნენ! ფანჯრიდან შემოვიდნენ!

— ოთახში რაღაც უცნაური სუნია, — შენიშნა პანი პეგუსოვამ. — მაგრამ, რა შუაშია აქ ქურდები? იქნებ ზედმეტი გადაჰკარით?

— გეფიცებით, ჩემი თვალით დავინახე ქურდები, — ჩაილულულა პან ფანფარამ. — შემოსასვლელშივე გავიგონე რაღაც საეჭვო ხმაური, მაშინვე გავაღე ოთახის კარი და კედელზე ვილაცის ლანდი დავინახე. „შეჩერდით!“ — დავიყვირე, — მაგრამ ლანდი ფანჯრიდან გადაეშვა. ფეხსაცმელი ვესროლე და განგაში ავტეხე.

— ო, ღმერთო ჩემო, ჩემი ფეხსაცმელი! — დაიკვნესა ალექმა. — რატომ თქვენი ფეხსაცმელი არ ესროლეთ. თუ კარგია?

— აბა, ჩემს ფეხსაცმელს როგორ ვესროდი. როცა ფეხზე მაკვია და თან ზონარით მაქვს მაგრად შეკრული?

— ღმერთო ჩემო! — ფანჯრის მინა გაიტეხიათ, — დაიკვნესა პანი პეგუსოვამ.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? — უპასუხა პან ფანფარამ. — ხომ გეუბნებით, ქურდები ფანჯრიდან გადმოვიდნენ-მეთქი.

პან პეგუსმა ეჭვით შეხედა პან ფანფარას.

— დარწმუნებული ხართ, პან ანატოლ, რომ ამჯერად თვალმა არ მოგატყუათ? ვერაფერია ნაკვალევს ვერა ვხედავ.

— გარწმუნებთ, ლანდი შევნიშნე-მეთქი.

— განა დეიდაჩემი ტყუის! — მართლა ზედმეტი გადაგიკრავთ, — თქვა ალექმა.

— რა? მე გადაჭრით უარყოფ მსგავს ბრალდებებს. თქვენ, ყმაწვილო, ძალიან კარგად იცით, რომ მე, საერთოდ, არა ვსვამ, ჩამოყალიბებული არამსმელი ვარ და ვირიცხები ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების წევრად.

— მით უარეაი, — შენიშნა ალექმა. — დეიდაჩემო, ბიძაჩემო, არ დაუჯეროთ პან ფანფარას — ნამდვილად ყველაფერი მოეჩვენა. ოთახში არავინაც არ ყოფილა. მოდით, დავიძინოთ, ისედაც მთელი ღამე ჩავმხამდა. ვარჯიშით გადავიღალე და ძილი ისედაც არ მეკარებოდა. ეს ყმაწვილი კი სიზმარში სულ ლაპარაკობდა და ხლაკუნსავით სხმარტალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩავიძინე

და პან ფანფარამ ყვიროდა მორთო. უსათუოდ ექვემდებარებოდა და ეჩვენებოდა, პან ანატოლ.

პან ანატოლმა პასუხის ღირსი არ გახადა ალექი.

— რასაკვირველია, ქურდებმა შემოამტვრიეს, — თქვა მარეკმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, — რასაკვირველია, ქურდები იყვნენ. დაწოლის წინ ფანჯარა დაეკეტე, ახლა კი, ხომ ხედავთ — ღიაა.

ალექმა გაიცინა:
— ფანჯარა მე გავაღე.

— შენა?

— მცხელოდა, სული მეხუთებოდა, ვარჯიშით გადავიღალე და არ დამეძინა. საერთოდ, ერთი მითხარით, ივნისში ვისა სძინავს ფანჯრებდახურულ ოთახში.

— ასეა თუ ისე, — თქვა პან ფანფარამ, — გირჩევთ, კარგად მიათვალიერ-მოათვალიეროთ, — რამე ხომ არ დაიკარგა. მართალია, მე დროზე დავაფრთხე ავაზაკები, მაგრამ იქნებ მოასწრეს და მაინც აწაპნეს რამე.

— მოვათვალიეროთ, რა გვენადვლება, — დაეთანხმა პანი პეგუსოვა.

ყველანი ოთახს მოედნენ. მხოლოდ მარეკი იჯდა საწოლში, რაღაც გაურკვეველი ბუნდოვანი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. უეცრად შეკრთა. **ჩანთა. იქნებ** ქურდებს ჩანთის მოპარვა უნდოდათ? რა სისულელეა. ვინ მოპარავს ჩანთას, როცა შეიძლება ჩანთის პატრონი პირდაპირ მოვიდეს მასთან და უთხრას: ჩანთა შემეცვალაო. მარეკი ხომ სიამოვნებით გაუცვლიდა ამ ჩანთას თავის ჩანთაში. მარეკმა თაროს შეავლო თვალი. მესამე თაროზე ჩანთა ხელუხლებლად იდო. შვებით ამოისუნთქა, მივიდა, ჩანთა გახსნა და შეამოწმა, რაიმე — ან წიგნი, ან რვეული ხომ არ დამკარგვიაო. არა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, — ახალი, გადაუფურცლავი წიგნები და სუფთა რვეულები.

მარეკმა ყველაფერი ისევ უკან ჩაალაგა და მხოლოდ ახლა შენიშნა მშობლების შემფოთებული მხერა.

— რად გახსენი ჩანთა? — ჰკითხა მამამ.

— ისე, უბჭალოდ.

— რაღაცას გვიმაღავ, მარეკ!

მამა მივიდა თაროსთან, ცნობისმოყვარეობით გახსნა ჩანთა და შიგ ჩაიხედა, ერთ ხანს წიგნებსა და რვეულებს ათვალიერებდა.

— ეს რაღას ნიშნავს? ეს ხომ შენი სახელმძღვანელოები არ არის! სუფთა რვეულები!.. რაშია საქმე, არ მესმის!

მარეკს აღარ შეეძლო სიმართლის დამალვა და თქვა:
— სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, გზად პარკში გამოვიარე და იქ შემეცვალეს ჩანთა.

— ჩანთა შეგიცვალეს?! — წარბები აჭიმა მამამ.

მაშინ კი მარეკმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო მამას — ნერვიულ ბიჭზე, მეშუშეებზე და ცხენისსიფათიან კაცზე, ოღონდ „შატალოზე“ არაფერი უთქვამს.

— რაღაც უცნაური ამბავი შეგმთხვევია, მარეკ, — ყურადღებით და თან ეჭვით მიაჩერდა მამა. — ყოველივე ეს ნამდვილად მოხდა?

— ა, ხომ ვიცოდი, რომ მაინც არ დამიჯერებდი.

პან პეგუსი ცოლს მიუბრუნდა.
— ისევ ძველებურად რაღაც სისულელეებს იგონებს, — ამოიოხრა მან...



სახენისკარტა კაცი.

დაგნეული ბიჭუნა ვახა

მარეკს უგრძნებზ ჩანთას.

გამგზავრება მლოცინოში.

სად ღაიკარბა მარეკი?

პან უაუარა სიფყვილან

საქმეზა გალაღის

მეორე დღეს მარეკმა, სკოლიდან რომ გამოვიდა, ალ-
ყაფის კართან ღარიბულად ჩაცმული, სახენისკარტა, ლო-
ყებჩაცვენილი კაცი შენიშნა. ამ კაცს თავშეხვეული ბი-
ჭისათვის ჩაეჭიდა ხელი. მარეკს ბიჭი ეცნაურა. გულ-
მა ძალუმად დაუწყო ფეთქვა: ეს ხომ ის ბიჭია
— ვორცელის სკვერში რომ ნახა! ეტყობა, შუშას რომ
თავით ეძგერა, ყურები მაშინ დაუშავდა და იმითომ აქვს
თავი შეხვეული. ადამიანს, რომელსაც ასე პანტურა ყუ-
რები აქვს, ამგვარი უსიამოვნება ხშირად შეემთხვევა.
ბიჭს ხელში მარეკის ჩანთა ეჭირა; ეტყობა, პატრონისა-
თვის უნდა დაებრუნებინა. მარეკმა იფიქრა: ეს სახენის-
კარტა კაცი ალბათ ბიჭის მამააო...

მარეკი შეჩერდა. მამა-შვილი მიუახლოვდა მას.
— გამარჯობა, ბიჭუნა! — სახენისკარტა კაცმა გაი-
ღიმა და უკბილემო ღრძილები გამოაჩინა. ხმაც რალაც
წრიპინა ჰქონდა.

— გაგიმარჯობ!
— შენ ალბათ ფიქრობ, — ვინ არიან ესენი და ჩემ-
თან რა საქმე აქვთო. ჩემს ბიჭიკოს — ვაცას სურს უკან
დაგიბრუნოს ჩანთა და ბოდიში მოიხადოს შეცდომისათ-
ვის. საშინლად შეწუხდა, როცა ნახა, რომ შემთხვევით
თავისი ჩანთის მაგივრად სხვისი ჩანთა წამოეღო. ჩანთები
სულ ერთნაირებია, ალბათ ერთი ფაბრიკის გამოშვება.
ამიტომ, ადვილად შეეშლება კაცს. შენ გაბრაზებული
ხომ არა ხარ?

— რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ... გასაგებია,
— ჩაილულულა გადამეტებული თავაზიანობით შეწუხე-
ბულმა მარეკმა.

— აი, ხომ ხედავ, — განაგრძო სახენისკარტა კაცმა,
— რა ღარიბები ვართ, მაგრამ — პატიოსნები. მაშინვე
ვიფიქრე, — ამ ჩანთის პატრონს რვეულების გამო რაიმე
უსიამოვნება არ შეემთხვეს-მეთქი.

ჩემს საყვარელ ბიჭუნას, ვაცას, მთელი ღამე არ სძი-
ნებია, მთელი დღე არაფერი უჭამია, თვალსა და ხელს
შუა ღაღინა. მერე, ისეთი მგრძობიარე ბავშვია, რომ!

მამამ შვილს თავზე გადაუსვა ხელი.
„მგრძობიარე ბავშვი“ დღეს მართლაც უფრო ცუ-
დად გამოიყურებოდა გუშინდელთან შედარებით. შეხ-
ვეული ყურები და დაბეჭილი, ჩალურჯებული სახე საცო-
დავ შესახედავს ხდიდა ბიჭს. მაგრამ, როგორც კი მამამ
გვერდზე მიიხედა, ბიჭი მაშინვე დაიჭყანა და ენა გამოუ-
ყო მარეკს.

— რაღას უყურებ, ვაც? — დაიხარა მამა მისკენ. —
მიეცი ჩანთა, ბიჭუნა კი შენს ჩანთას დაგიბრუნებს. ასე
არაა, მარეკ?

— როგორ არა, — წაიჩურჩულა მარეკმა, თან იფიქ-
რა: ამ სახენისკარტა კაცმა ჩემი სახელი საიდან იცისო.
მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ყველა რვეულს მისი გვ-
არი და სახელი ეწერა.

ვაცამ ქვეშევშვად გამოხედა მარეკს და ისე მიაჩეჩა
ჩანთა, თითქოს მჭიდის კვრას უპირებდსო.

— ნახე, მარეკ, ყველაფერი თავის ადგილზეა თუ არა,
— უთხრა კაცმა.

მარეკმა ჩანთაში ჩაიხედა: ყველაფერი რიგზე იყო,
ყველაზე დიდი განძი — ახალი ხანგური სახელმწიფოს,
განას მარკა ხელუხლებლად იდო კონვერტში.

— მაღლობელი ვარ, — გაიღიმა მარეკმა, — თქვენ
პირდაპირ მიხსენით. აი, ინებეთ თქვენი შვილის ჩანთა.

მოხუცმა ჩანთა გამოართვა, შიგ არც კი ჩაუხედავს,
ისე ჩამოართვა მარეკს ხელი.

— კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს: ეს ჩანთები სულ
ერთნაირებია!..

— დიახ, მართლა სულ ერთნაირებია. ალბათ ერთი
ფაბრიკის გამოშვებაა.

მარეკი ისე გახარებული იყო, რომ ამ საზიზღარ ბიჭ-
საც კი გაუღიმა, რომელიც ისევ ეჭყანებოდა.

* * *

მარეკი კარგ გუნებაზე იყო და ჩანთისქნევით მიდიო-
და შინისაკენ. ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე კარ-
გად დამთავრდებოდა. ეტყობა, პან ფანფარას მართლაც
მოელანდა ქურდები. ტყუილად ხომ არ ამბობენ, — არ-
ტისტებს მიღიარო ფანტაზია აქვთო. არავეითარი ქურდო-
ბა არ მომხდარა. და თუ მოხდა კიდევ, ამას არავეითარი
კავშირი არ ჰქონია ჩანთასთან. თავისი ჩანთა აგერ უკვე
ხელში უჭირავს და არც არაფერი დაჰკარგვია. რა სუ-
ლელური აზრები მოსდის ხოლმე თავში კაცს ხანდახან!
ეს იმიტომ მოხდა, რომ მას სინიდიის არა აქვს სუფთა.
მაგრამ ამ დროს, უეცრად, ისევ ის კაცი გაახსენდა, —
აყლაყულა, ცხენისსიფათიანი. რატომ გამოეკიდა? ნამ-
დვილად უკან მოსდევდა, ფეხდაფეხ, რატომ? იქნებ სწო-
რედ ის კაცი გადმოძვრა წუხელის მათ ოთახში. და პან
ფანფარამ სწორედ ის დაიხახა, ფანჯრიდან რომ ხტებო-
და; ნეტა, ამის შესახებ ეთქვა იმ სახენისკარტა კაცისათ-
ვის. იქნებ, მას მაინც აეხსნა, რაში იყო საქმე. იქნებ იგი
იცნობს კიდევ ოთხთვალელებას? ქურდებზეც უნდა ეთქვა
სახენისკარტასათვის. საინტერესოა, რას იტყოდა ამის
შესახებ!

მარეკმა უკან მიიხედა, მაგრამ მოხუცი სადღაც გამ-
ჭრალიყო.

ნასადილევს მარეკმა ყველაფერი უამბო ჩესეკს. მას
არაფერს არ უმალავდა ხოლმე. უამბო და, წარმოიდგი-
ნეთ, კარგიც გააკეთა, — მაშინვე მოეშვა გულზე. ჩესეკ-

მა სამართლიანად განსაჯა: აბა, ეს ამბავი რა გულთან მისატანიაო. ყველაფერი შენი ნერვების ბრალია. სასწავლო წლის ბოლოს ნერვები არასოდეს არა აქვს კაცს წესრიგშიო... „ნერვიული გადაღლილობაა,“ — დასკვნა ჩესკემა და მარეკი მლოცინში წაიყვანა. იქ ერთი კონტაპრუფა იათად ჰყიდა სპირტურას, მარეკი და ჩესკეკი არდადეგებზე მაზურის ტბის მიდამოებში აპირებდნენ გასეირნებას ველოსიპედებით, — სრულიად დამოუკიდებლად, თავიანთი გადაწყვეტილებით.

მლოცინიდან საღამოხანს დაბრუნდნენ და, ჩვეულებისამებრ, ჩესკეკის სახლთან დაშორდნენ ერთმანეთს. გამომშვიდობებისას შეთანხმდნენ, რომ ხვალ მარეკი დეიდა ღორასთან მივა და დენატურატს სთხოვს სპირტურისათვის. დეიდა ღორას ხომ ყოველთვის ბლომად აქვს სპირტი, რადგან ხშირად ხმარობს საღებზინფექციოდ.

— აბა, არ დაგვიწყდეს! — მიაძახა ჩესკეკმა მარეკს.
— ნუ გეშინია! — უპასუხა მარეკმა და მოსახვევში გაუჩინარდა.

ცხრა საათი იყო. პეგუსების სახლში მარეკს ელოდებოდნენ და ვახშმად არა სხდებოდნენ, პანი პეგუსოვა წარამარა შეშფოთებული იყურებოდა ფანჯარაში, პან პეგუსი ბოლოსა სცემდა, თან ხელებს იფშვენტდა.

— ხომ ხედავთ, ბიჭი რალაცას გვიმალავს, ალბათ, გუშინაც იცუღლუტა.

— მთელი დღე რალაც უცნაური გამომეტყველება ჰქონდა; — შენიშნა პანი პეგუსოვამ.

— თავი მომჭერით, თუ გუშინ გაცვეთილებიდან არ იყო გამოპარული. ყოველთვის ასეა, — რაიმეს იცუღლუტებს და მერე ყველა არაჩვეულებრივ, დაუჩერებელ ამბებს. სად არის ახლა?

— მათ თავიანთი საიდუმლოებები აქვთ. ნასადილევს ჩესკეკთან წავიდა ველოსიპედით. და აი, ჭერაც არ დაბრუნებულა. ნეტავ, სად არის ამდენ ხანს?

— ცუდ წრეში მოხვდა, — თქვა პან პეგუსმა, — შენ რომ სანატორიუმში გაგიგულა, სულ თავი აიშვა! გახ-

ჯვარის გადასავალი

«ხევის ყელი», «გუდაურის გადასავალი», «ჯვარის გადასავალი», — ეს სამი სახელი ჰქვია ერთ გადასავალს, რომელიც ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიას აერთებს. ამ გადასავალის ახლო-მახლო მიდამოები ალპური მცენარეულობითაა დაფარული; მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2.395 მეტრია, — აქედან კარგად ჩანს კავკასიონის დიდებული პანორამა.

«ხევის ყელი» ამ გადასავალს ძველთაგანვე რქმევია, იმის გამო, რომ იგი ქმნის ხევის გასავალს, ყელს.

ამ გასავალთან ახლოსაა სოფელი გუდაური, რის გამოც მას «გუდაურის გადასავალი» დაერქვა.

ქართველ მეფეებს აქ XI-XII საუკუნეებიდან დაუწყიათ ხის ჯვრების დადგმა, ამიტომაც ეწოდა «ჯვარის გადასავალი».

1824 წელს, ერმოლოვის ბრძანებით, ხის ჯვარი გრანიტის ჯვარით შეიცვალა. არის მოსაზრება, რომ სწორედ 1824 წელს შეერქვა ამ გადასავალს «ჯვარის გადასავალი». ეს მოსაზრება სწორი არ არის.


ჯვართან, რომლის ნაშთი ახლა ნიშნა მიყუდებული, გადიოდა სამხედრო გზა. ეს ჯვარი და ნაგ-



ზაური ახლანდელი კეთილმოწყობილი გზის აღმოსავლეთით რჩება. «ჯვარის გადასავალის» უმაღლეს წერტილზე აღმართულია გზის მშენებელთა ობელისკი, რომელზედაც გადასავალის სახელი და სიმაღლეა წარწერილი.

მოგზაურ გამზას, რომელიც საფრანგეთის კონსულად იყო კავკასიაში, სწორად ვერ გაუგია სახელწოდება «ჯვარის მთა», და გადაუკეთებია «წმინდა ქრისტეფორეს მთად». იგი ამ სახელით ერთხანს იხსენიებოდა კიდევ ზოგიერთ ფრანგულ და რუსულ ლიტერატურაში.

ზ. გოგატიშვილი



სოვს, ჰადი რომ დაამსხვრია, პან ფანფარას ვიოლონჩელო გაუტეხა...

— ოთახში რწყილები რომ გაუშვა, — ამოიოხრა პანი პეგუსოვამ, — სკოლაში, პანი ოკულებსოვას დღეობაზე, ხომ გახსოვს, რა სამარცხვინოდ მოიქცა.

— ნულარ მახსენებ იმ საშინელ ამბავს!
— ყველაფერი ჩესეკის ბრაღია. ახლა ველოსიპედებს გადაპყვებენ. ეშმაკმა იცის, სად წავიდნენ.

— ახლა ყველგან საშიშია, ამდენი მშენებლობაა, სატვირთო მანქანები... ავტობუსები... — დაუმატა პან პეგუსმა.

— და... გადარეული მოტოციკლისტები.

ასე საუბრობდნენ მარეკის მშობლები, და ამ დროს ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ რა გასაჭირში იყო მათი შვილი. ბოლოს დასხდნენ სავანშმოდ, რადგან მშვიერი ალექი წამდაუწუმ სამზარეულოში იხედებოდა, გოგოებს კი ძილისათვის თავი უკვდებოდათ და კინალამ მაგიდაზე ჩამოიძინეს.

ხმაამოუღებლად ივანშმეს და მაშინვე აიშალნენ. ალექი თავის ოთახში გავიდა. გოგონები დაწვნენ. მამამ გახეთში ჩარგრა თავი.

მაგრამ ათი რომ დაჰკრა, ყველას მოთმინება გამოეღია. მამამ გაზეთი გადადო. დედამ ჭურჭლის რეცხვა შეწყვიტა.

— არა, მეტი აღარ შემოძლია! — წამოიყვირა მან, — ამ დროს მარეკი ყოველთვის შინ იყო. ტიმოთეუმ, რაიმე უნდა იღონო.

— ჩესეკთან წავალ! — გადაწყვიტა მამამ.

შლიაბა დაიხურა და გაემართა წვიმის ქუჩისკენ, სადაც ჩესეკი ცხოვრობდა.

პან პეგუსის დანახვაზე ჩესეკმა გაოცებისაგან თვალები გადმოკარკლა:

- რა მოხდა?
- მარეკი არ დაბრუნებულა.
- არ დაბრუნებულა? შეუძლებელია!
- ხომ არ იცი, რა დაემართა?
- არ ვიცი.
- თქვენ ხომ ერთად წახვედით ველოსიპედებით? სად იყავით?

- მლოცინში ვიყავით, მაგრამ...
- როდის დაბრუნდით?
- რვაზე, ან ცხრის ხუთ წუთზე...
- საათს დახედე?
- არა, მაგრამ სახლში რომ მივედი, რადიოთი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ.
- სად დაშორდით ერთმანეთს?
- ჩემს სახლთან, ის შინ წამოვიდა.
- მერე აღარ გინახავს?
- არა!

პან პეგუსს მეტი არაფერი უკითხავს, მილიციისაკენ გაექანა.

* * *

— ნუ ღელავთ, — უთხრა მორიგემ. — ბიჭს უთუოდ ვიპოვით, ეს მშვიდი რაიონია.

— რა შეემთხვა, რატომ აქამდე არ გამოჩნდა?

— ალბათ, გაერთო სადმე, მშობლებმა ხშირად არ იციან, რას აკეთებენ მათი შვილები. ალბათ რომელიმე ამხანაგს შეხვდა და მერე მასთან წავიდა.

— საერთოდ, არასოდეს ასე არ მოქცეულა...

— ეს არაფერს არ ნიშნავს. როდესმე ხომ უნდა მოქცეულიყო ასე.

— ასე უნდა მოქცეულიყო?

— ყველა ბიჭი ადრე თუ გვიან ისე იქცევა, რომ ყველას აოცებს მისი საქციელი. ამასთან ერთად, თქვენ ამბობთ, რომ იგი ცუდ წრეში მოხვდა.

— ასე ვფიქრობთ.

— აბა რა გასაკვირია, რომ მან ერთხელ დააგვიანოს შინ მოსვლა. მშობლებს უფრო მეტი საწყენიც შეიძლება შეხვედეთ.

— მაგრამ... უბედური შემთხვევა რომ იყოს? — ღელავდა პან პეგუსი.

— ვეჭვობ. ყველა უბედურ შემთხვევას ჩვენ გვაცნობებენ. ჭერჯერობით არაფერი უცნობებიათ.

— იქნებ, ამ შემთხვევის გამო არავინ არ გაცნობათ? ვთქვათ, მაგალითად... ის, ვინც იგი...

— თქვენ მხედველობაში გაქვთ რომ მძლოლმა, რომელმაც იგი გაიტანა, მაშინვე საავადმყოფოში მიიყვანა?

უ. გვიარჩინი: არ შეიძლება არ აღასრულო შენი ვალი მხოლოდ იმის შიშით, რომ ამის გამო მტერს გაიჩენ, ან ვინმეს არ ეხიამოვნება; ვალის მოხდა კაცს სახელს ჰმატებს, რასაც უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ვნება შესაძლო მტრისაგან.

მომსი: მხოლოდ ხაერთო ბედნიერებაში შეიძლება საკუთარი ბედნიერების პოვნა.



ბ. მრასიანი: საქციელი—განზრახვის ნაყოფია. თუ განზრახვა მოხაწონია—საქციელიც მოხაწონი იქნება.

ღეგეკრიხე: პატიოხანი და უპატიოხნი აღამიანები იცნობა არა მარტო იმით, თუ რას აკეთებენ იხინი, არამედ იმითაც, —თუ რა სურთ მათ.

მ. ლომონოსოვი: პატარა აღამიანი—მთაზე შემდგარიც პატარად მოჩანს, ბუმბერაზი კი—ორმოშიც ბუმბერაზია.

ბ. შრანსკლინი: ნუ გადახდებ ხახვალიოდ იმას, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია.



— ჩაეჭიდა პან პეგუსის სიტყვას მილიციელი. — რასაკვირველია, ასეც ხდება, მაგრამ მაშინ ჩვენ გვაცნობებდნენ საავადმყოფოდან. მართალია, იმ წამსვე არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ...

— თქვენ ამბობთ...

— დიახ, იმწამსვე — არა. თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს უბედური შემთხვევაა, დარეკეთ საავადმყოფოში, შეიძლება იქ იყოს.

— რომ არ იყოს...

— მაშინ ჩვენ დავიწყებთ, დავიწყებთ ძებნას. — მილიციელმა ხელი გაუწოდა შეწუხებულ მამას. — არ დაეცეთ სულთ. იქნებ თქვენი ბიჭი ახლა შინ გელოდებათ.

პან პეგუსსაც ამის იმედი ჰქონდა. მაგრამ, ვაი, რომ ასე არ იყო. მარეკი არსად ჩანდა.

— უთუოდ უბედური შემთხვევაა, — ხმის კანკალით თქვა დედამ და ტრემლები მოიწმინდა.

მამამ უხმოდ აიღო ტელეფონების წიგნი.

— რას აპირებ, ტიმოთეუშ?

— საავადმყოფოებში უნდა დავრეკო.

— შენ გგონია, რომ იგი მართლა... გაიტანა რამემ?

ქმარს ხელი მოჰკავდა ქალმა.

— არა, არა მგონია. — დაუყვავა პან პეგუსმა და ხელზე ხელი გადაუსვა. — მე... ისე... ყოველი შემთხვევისათვის.

შუალამემდე ყველა საავადმყოფოსა და „სასწრაფო დახმარების“ ყველა სადგურს დაურეკეს.

ბოლოს, პან პეგუსმა დადო ყურმილი და დახურა ტელეფონების წიგნი.

— არსად არ არის... ეტყობა, საშიში არაფერია...

მაგრამ ამან ვერ დაამშვიდა მშობლები.

— იქნებ საავადმყოფოში არ მიიყვანეს, „სასწრაფო დახმარებას“ არ გამოუძახეს, — თქვა მოღუშულმა ალექსმა. — შეზინებულ მძღოლს, რომელმაც იგი გაიტანა, შეეძლო გვამი გადაემალა.

— ალექ, — წაიჩურჩულა პანი პეგუსმა. — როგორ შეიძლება... რას ამბობ!

— მე არ ვამტკიცებ, რომ სწორედ ასე მოხდა, მაგრამ მე ასე ვფიქრობ... ხმადალლა.

— თუ შეიძლება, შენთვის იფიქრე.

ალექმა თავი ჩალუნა.

— სხვა გამოსავალი არ არის, — ხმადაბლა თქვა მამამ, — მილიციაში უნდა დავრეკო.

მან განყოფილების ნომერი აკრიფა.

შეპირდნენ, რომ დაიწყებდნენ ძებნას და, როგორც კი შეიტყობდნენ რაიმეს მარეკის შესახებ, მაშინვე დაურეკავდნენ. პეგუსების სახლში მთელი დამე თვალი არავის მოუხუჭავს, მაგრამ ტელეფონი შელოცვილივით არ იღებდა ხმას.

* * *

პან ფანფარა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ღამის ორ საათზე დაბრუნდა რესტორანიდან. გაუკვირდა, რომ ყველა ფეხზე დანხდა. როცა მომხდარი უბედურების შესახებ უამბეს, ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო, მერე სკამზე დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა.

— რა კარგი... რა კარგი ბიჭი იყო, — ჩურჩულით იმეორებდა იგი, — მაგრამ ყველას როდი ესმოდა მისი. მას ხომ ყველგან და ყოველთვის ფათერაკი სდევდა. სულ ცდილობდა, კარგად მოქცეულიყო, მაგრამ ყველაფერი უკუღმა გამოსდიოდა.

— თქვენ ისე მოთქვამთ, თითქოს დასაფლავებამდე იყოთ, — აქვითინდა პანი პეგუსსოვა.

პან ფანფარა გაჩუმდა; უცერად წამოხტა სკამიდან და ბოლთის ცემა დაიწყო. აღელვებული, ხან იხსნიდა და ხან იკეთებდა უღვაშებს.

— რა საშინელებაა, — თქვა მან და პან პეგუსის წინ დადგა. — მე მგონია, იგი რაღაც ბნელ საქმეშია გაბმული. ფათერაკიანი იყო და აი, ხომ ხედავთ! ყველაზე საშინელი ის არის, რომ ამაში ჩვენა ვართ დამნაშავე.

— ჩვენ? — წამოიყვირა პან პეგუსმა.

— ძალზე წინდაუხედავად მოვიქცით. მარეკმა ხომ გვიამბო, რა შეემთხვა ვორცელის სკვერში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ის ამბავი... — მოთმინება აღარ ეყო პან პეგუსს. — რომ იმ ამბავს რაიმე კავშირი აქვს დღევანდელს?...

— თუ ყველაფერი მართალია, რაც მარეკმა გვიამბო, თუ მხედველობაში მივიღებთ ოთხთვალეზას, და იმას, რომ ქურდებმა წუხელ ფანჯარა შემოამტკიცეს, — ეს ამბავი ნამდვილად თავზარდამცემი ჩანს და კარგს არაფერს მოასწავებს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ...

— ეს იყო საგანგაშო სიგნალები, — პან ფანფარამ თითი აღმართა თავს ზევით, — ჩვენ კი... დანაშაული ჩავიდინეთ და ჭეროვნად ვერ შევაფასეთ ეს!

პან ფანფარამ კვლავ დაიწყო ოთახში ბორიალი. მას ფეხდაფეხ დასდევდა პან პეგუსი. ასე დადიოდნენ ისინი დაახლოებით ერთ საათს.

ბოლოს, პან ფანფარამ ვიოლონჩელო ამოიღო; მწუხარე პანგებით აივსო ოთახი. ვიოლონჩელო ჩიოდა, ქვითინებდა, კვნესოდა, ტირიდა... აღამიანივით...

— შეწყვიტეთ! — წამოიკივლა თვალცრემლიანმა პანი პეგუსსოვამ. — თქვენი ვიოლონჩელო აშლილია. ჩვენ კი ისედაც მოშლილები ვართ.

პან ფანფარამ ვიოლონჩელო ფუტლიარში ჩადგო, კუბოს სახურავივით ყრუდ დაიხურა ფუტლიარის სუფი.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა მან დედას, — რა დროს დავკრავ, უნდა ვიმოქმედოთ; მე აქტიური ადამიანი ვარ და მოქმედებას უნდა შევუდგე.

— რას აპირებთ?

პან ფანფარას გამომეტყველებამ უფრო შეაშფოთა პეგუსები.

— ჩემი მეგობრის საძებნელად მივდივარ.

— ხად?

— ყველგან მოვძებნი, დაყოფენა აღარ შეიძლება. უნდა ვიმოქმედოთ, უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება.

— მერე, შესძლებთ კი?

— ძალ-ღონეს არ დავიშურებ, — მშვიდად განაცხადა პან ფანფარამ.

— გმადლობთ, — პან პეგუსმა ხელი ჩამოართვა პან ანატოლს, — თქვენ შესანიშნავი ადამიანი ხართ; ახლა ვწუხვარ, რომ გუშინ არაფრად ჩავავადეთ თქვენი რჩევა... ოღონდ ამას გთხოვთ, ხიფათში ნუ ჩაიგდებთ თავს... იქნებ, ისევ მილიციისათვის მიგვემართა...

პასუხად პან ფანფარამ მხოლოდ ჩაიღიმა, მარეკის მშობლებს ხელი ჩამოართვა და ოთახიდან გავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ნაიკითხათ

ჩაზმის

შეკრებაზე

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გიორგი დიმიტროვის სახელობის პიონერული ორგანიზაცია, რომელსაც „სექტემბრელებს“ უწოდებენ, შეიქმნა 1944 წლის 28 სექტემბერს.

„სექტემბრელებს“ ბულგარეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ხელმძღვანელობს.

1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ. საბჭოთა არმიის ძმური დახმარებით ბულგარელმა ხალხმა გაიმარჯვა. ამ დღის პატივსაცემად პიონერთა ორგანიზაცია „სექტემბრელების“ სახელს ატარებს.

„სექტემბრელების“ ორგანიზაცია შედგება უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვებისაგან, — „ჩავდარელებისა“ და „სექტემბრელებისაგან.“

ჩავდარი—ბულგარელი ხალხის ეროვნული გმირია. მან თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გაითქვა სახელი.

ჩავდარელთა რიგებში მიიღებიან ბავშვები 7-დან 9 წლის ასაკამდე და იყოფიან „ჩეტებად“ (რგოლებად). ხოლო უფროსი ასაკის რიგებში, — სექტემბრელებად, მიიღებიან მოსწავლეები 9-დან 14 წლის ასაკამდე. სექტემბრელები და ჩავდარელები ადგენენ რაზმეულებს, რომლებიც იქმნებიან სკოლებში.

ბულგარელი სექტემბრელები ატარებენ წითელ ყელსახვევსა და სამკერდე ნიშანს.

ბულგარელი პიონერი სექტემბრელთა რიგებში მიღებისას იძლევა საზეიმო პირობას: „მე, მშვიდობისმოყვარე გმირი ხალხის შვილი, ხალხისა და ჩემი ამხანაგების წინაშე ვდებ პირობას, რომ დაულაღვად ვიბრძოლებ საზოგადოებრივი ფრონტის საქმისათვის, გიორგი დიმიტროვის საქმისათვის; პირობას ვდებ ვისწავლო და ვიზრომო ისე, რომ გავხდე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქე და ჩვენი ლამაზი სამშობლოს დამცველი“.

ბულგარელი პიონერები მოწოდებაზე: „დიმიტროველო პიონერებო, სოციალიზმის საქმისათვის და ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ — ომანთანად პასუხობენ: — „მზად ვართ!“

სექტემბრელებს აქვთ თავიანთი გაზეთი, რომელიც „სექტემბრევიჩე“-ს სახელით გამოდის (ქართულად „სექტემბრელებს“ ნიშნავს). ეს გაზეთი ფართოდ აშუქებს ბულგარელი პიონერების ცხოვრებასა და საქმიანობას.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, რაზმეულის საბჭოს წევრი, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე და რგოლის ხელმძღვანელები მკლავზე, იდაყვს ზევით, ატარებენ განმასხვავებელ ნიშნებს. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს მკლავზე დამაგრებული აქვს წითელი რგოლი, სამი თეთრი ზოლით. რაზმეულის საბჭოს წევრსა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ისეთსავე წითელ რგოლში — ორ-ორი თეთრი ზოლი, ხოლო რგოლის ხელმძღვანელს — ერთი თეთრი ზოლი.

სექტემბრელებს

გოგი კაპანაძე

მთის ფერდები ჩამოშრა,
შეწყდა თოვლის ციმციმი,
ხევში ჩარბის ღვართქაფი
გაუხედნავ კვიცივით.

დილის ნისლი ნახნავში
ზანტად მიიზღაუნება,
საცვარელი კვირტები
გამოჩეკეს ვაზებმა.

სერზე მზეს ეფიცება
კოპწია ფურისულა,
მოწყრიალე ტოროლა
თითქმის მზესთან მისულა.

კაკი პითილავა

ნახატები
ზურაბ ზორაჩიძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა



ჩვენს სოფელს გვერდით მდინარე ჩამოედის. მდინარის გაღმა თვალწვდენი სიმინდის ყანაა, ყანის იქით — პატარა ტბა.

ტბას გაღმადან ტყიანი კლდე გადმოჰყურებს. მისასვლელ ნაპირზე კი თხმელის ვეება ხეები დგანან. ხეების უმეტესობა წყლისკენ ისეა გადაზნეჭილი, გვეგონება ხიდის მავივრობას გასწვევით.

ჩვენ განსაკუთრებით ორი ხე გვიყვარდა, ისინი მართლაც ხიდივით იყვნენ წყალზე გადებული. გავიდოდით ზედ და შუაგულს რომ გავუთანასწორდებოდით, გაფარჩხულ ტოტებში მოხერხებულად ჩაჯდებოდით და ანკეებს წყალში ჩავეშვებდით.

ტბა მუდამ სასვე იყო თევზით. თევზები სიცხეში აირეოდნენ ხოლმე, მათი ბრჭყვიალა ქერცლი მზეზე თვალისმომჭრელად ელვარებდა. ჩვენ ხის ტოტზე წყლიანი ქილები გვექონდა ჩამოკიდებული, ქილებში თევზებს ვყრიდით.

ხანდახან ჩვენთან სოფლის მეველე დათომ იცოდა მოსვლა. იქვე შორიახლო ხეზე აბობლდებოდა და ორლულიანი თოფით ხელში, წყალს ჩაყურებდა.

სიცხეში ჯილეებიდან დიდი თევზებიც გამოდიოდნენ. ისინი გუნდ-გუნდად, დინჯად აივლ-ჩაივლიდნენ, ანკესზე წამოგებულ ჭიას ზედაც არ შეხედავდნენ; ზოგჯერ ერთ ადგილას შექუჩდებოდნენ, ოქროსფერ ბოლოებს ზანტად შეარხევდნენ და წყალს ზემოთ მოშავო ზურგებს გამოაჩენდნენ. მაშინ დათო დიდ თევზს შეარჩევდა და თოფს ესროდა.



თევზი ჯერ წყალში ჩაყურყურებდებოდა, მერე კი ზევით ამოტივტივდებოდა, გულადმა გაღატრივლიდებოდა და ლაყურებიდან გამონადენი სისხლით წყალს მუქად ღებავდა.

ერთ დღეს დათომ ხუთკილოგრამიანი თევზი ამოათრია წყლიდან. მწვანეზე წამოწვა და გვიტხრა:

— ბიჭებო, ურიგო არ იქნება, ამ ტბის პირას კარავი გვექონდეს. ფიცრებს მოვზიდავ და დადგამაში თქვენც დამეხმარებით.

- კარგი იქნება, — დავეთანხმეთ ჩვენ.
- ტბაში ძალიან ბევრი თევზია, თოკზე გაბმულ ანკეებს მოვიტან და უფრო მეტ თევზს დავიჭერთ. ღამით აქ დავრჩებით. კარავში ცეცხლს დავანთებთ, თან საგზალს წამოვიღებთ. მე მგონი, კარგი იქნება.
- კარგი იქნება, კარგი! — წამოვიძახეთ გახარებულებმა.

მეორე დღეს თევზაობით გული ვიჯერეთ. სანამ კარვის დადგმას შევეუდგებოდით, მანამდე საკმაო დრო გვექონდა დარჩენილი და მწყემსებთან ორი დღით მთაში წავედით. მთიდან რომ დავბრუნდით, მეორე დღეს, დილით, ჭალაში გავედით და მაშინვე ტბისაკენ გავსწიეთ. თუმცა ვიცოდით, ასე ადრე დათო იქ არ დავიხვდებოდა.

ტბას რომ მივუახლოვდით, ერთბაშად მყრალი სუნი გვეცა, თხმელაზე ყვავები ჩამომსხდარიყვნენ და საზარელ ხმაზე ჩხაოდნენ.

- სადღაც ნამდვილად ლეში გდია, — თქვა ზურაბმა.
- მე ტბასთან მივედი და წყალში გადავიხედე.
- ზურაბიც გამომყვა.
- ბიჭოს, რამდენი თევზია! — წამოიძახა გაკვირვებულმა.
- ალბათ, ყვავებიც იმიტომ მოგროვდნენ.
- ტბა მოუწამლავთ! — ვთქვი გაბრაზებულმა.
- კი მაგრამ, დახოცილი თევზები რატომ დატოვეს? — გაიოცა ზურაბმა.
- ყველას ხომ ვერ წაიღებდნენ!
- საინტერესოა, ამოდენა ტბის მოწამლა როგორ შეძლეს.
- რამდენიმე კასრ საწამლაგს ჩაუშვებდნენ და...
- ეჰ, წვრილი თევზები არ შეებრაღათ მაინც! — თავი გააქნია სინანულით ზურაბმა, — მოგვესწრო ერთი!
- უცებ ცხენის ფეხისხმა მოგვესმა. მივიხედეთ. მილიციის ინსპექტორი ანდრო ცხენს მოაგელვებდა. სახეზე მოწყენილობა რომ შეგვამჩნია, ჩამოხტა და ჩვენსკენ გამოემართა, კარგად რომ მოგვიახლოვდა, შედგა.
- რა მოგივიდათ, ბიჭებო? — გვიტხრა მან.

— ტბა მოუწამლავთ! — ვუპასუხეთ ერთხმად.
 — ტბა მოუწამლავთ?! — წამოიძახა აღშფოთებით, ცხე-
 ნი სახელდახლოდ ხეზე მიაბა და ჩვენთან მოვიდა.
 ტბას რომ გადახედა, შეწუხდა.
 — ვერ იქნა და, ის გაიძვევრები ხელში ვერ ჩავივდე.
 ბოლოს ანდრო გატრიალდა, ცხენს მოახტა და გვათხრა:
 — ბიჭებო, თქვენც უნდა ადევნოთ თვალი, თუ ვინმე შენი-
 შნოთ, შემატყობინეთ და იმწამსვე აქ გავჩნდები.
 ჩვენ, რა თქმა უნდა, შევპირდით.
 ანდრომ ცხენი მიატრიალა და მდინარისაკენ გასწია.
 ჩვენ ისევ ტბისკენ ვიბრუნეთ პირი.



თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ. თევზაობაზე ფიქ-
 რიც ხომ შედგენი იყო და ტბას აღარ გავაკარებოვართ.
 ერთ დღეს ცა ღრუბლებით დაიბურა, ქარმა დაიქროლა, სა-
 დღაც მთებში მესმაც დაიჭექა და წვიმა თქრიალით დაეშვა.
 მთელი ღამის განმავლობაში წვიმდა, მდინარე ისე ადიდდა,
 რომ ყანები კინაღამ წალკვა.
 ასეთი წვიმა ჩვენ ძალზე გაგვეხარდა, — მდინარიდან ტბა-
 ში თევზი გადავიდოდა და შეგვეძლო შემდეგ კვლავ გვეთე-
 ვზავა.

მართლაც როცა გამოიდარა და მდინარემ დაიკლო, ტბა
 ისევ სავესე იყო თევზით.
 ერთხელ, როცა თევზაობას მოვრჩით, და შინ ვაპირებდით
 გაბრუნებას, ორი შლიაპიანი კაცი მოვიდა ტბასთან.
 — ბიჭოს, თევზი მომრავლებულა! — თქვა ერთმა.
 — ახლა უფრო მეტი თევზი ჩანს, — გამოელაპარაკა მეორე.
 ჩვენ სიმინდებში ვიყავით დამალული და იქიდან ყურს ვუ-
 გდებდით.
 უცნობები დიდხანს საუბრობდნენ.
 ბოლოს შეთანხმდნენ, კვირა დილით წვევოდნენ ტბას. ისიც
 განსაზღვრეს, თუ რამდენი კასრი მოუნდებოდა ტბის მოწამე-
 ლას. შემდეგ პაპიროსი გააბოლეს და გზას არხეინად გაუღე-
 ნენ.
 ჩვენს აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. „ახლა ხომ ნა-
 მდვილად გავაბამთ მაგ არამზადებს“, — ვფიქრობდით და ან-
 დროს გამოჩენას ვნატრობდით.
 თევზაობა ისევ განვგრძეთ, რადგან ანდრომ დილით ქვე-
 მოთ ჩაიარა და გადაეწვივით, სანამ არ ამოივლიდა, ადგი-
 ლიდან ფეხი არ მოგვეცვალა.
 ანკესი ამოვწიე, პატარა ლოქო წამოგებოდა. გახარებულმა
 წყლიან ქილაში ჩავაგდე.
 — თევზაობთ, ბიჭებო?! — შემოგვესმა უცებ ანდროს ხმა.
 მოულოდნელობით შეტებუნებულები წამოგვევივდით. ანდრო
 იქვე ხესთან იდგა და იღიმებოდა.
 — ვთევზაობთ, მაგრამ ტბას სულ მალე მოწამლავენ! —
 გავეპასუხე.
 — არა, განა ყოველთვის გაბედავენ? — დაიმედებით თქვა
 ანდრომ.
 — ტბა კვირას უნდა მოწამლონ, — უთხრა ზურაბმა.
 — საიდან იცი?
 ჩვენ მაშინ ანკესებს თავი მივანებეთ, ანდროსთან მივედით
 და ყველაფერი ვუამბეთ.
 ანდროს ბრაზისაგან სახე აენთო.

შუალამე გადასული იყო. ჩვენ სიმინდებში ვისხედით და
 ქვეშ თხმელის ტოტები გვექონდა გაფენილი. ანდრო მხართე-
 ძოზე იყო წამოწოლილი. მისი პრილა სამხრეები მთვარის
 შუქზე ოქროსფრად ბრწყინავდა. მის პირდაპირ კი დათო
 იჯდა და პაპიროსს აბოლებდა.
 ანდრომ საათზე დაიხედა, გათენებას სამი საათი აკლდა.
 — სად არიან აქამდე? — ჩაილაპარაკა მან და გვერდზე
 გადაბრუნდა.
 — ვინ იცის, შეიძლება განთიადისას მოვიდნენ, — გამოე-
 ლაპარაკა დათო.
 — ერთი გამოჩნდებოდნენ! — თქვა ზურაბმა და კეტი ხე-
 ლში შეათამაშა.
 — კარგი, ვთქვათ, ჩვენ აქ არ ვიყოთ და ისინი მოვიდნენ,
 რას იზამ მაშინ? — უთხრა ღიმილით ანდრომ ზურაბს.
 — როგორ თუ რას ვიზამ, ამ კეტს პირდაპირ თავში ვდრუ-
 ზავ!
 ზურაბის სიტყვებზე ანდრომ გულიანად გადაიხარხარა.
 — შენ როგორღა მოიქცევი? — შემეკითხა დათო.
 — მე უარეს დღეს დავაყრი! — ვთქვი მე და კეტი მეც
 შევათამაშე ხელში.
 — ბიჭოს, რა ყოჩალი ბიჭები ყოფილხართ! — თქვა ანდ-
 რომ და ისევ გადაიხარხარა.

მთვარე უკვე გადახრილიყო. ხეების ჩრდილი ჩვენამდე აღ-
წევდა. სოფლიდან მამლების ყვირილი და ძაღლების ყუფა შე-
მოგვესმა მერე მანქანის ხრიალიც გავიგონეთ.

ანდრო წამოდგა და სოფლის შარაგზისაკენ გაიხედა.
— არა, მანქანა ნამდვილად აქეთ მოდის, — თქვა და ქამა-
რში ჩატანებული ხალათი გაისწორა.

მე ხის ჯირკჷ შევდექი და გავხედე. მანქანის შუქი პირ-
დაპირ თვალში მეცა.

ერთხანს თითქოს მიწყდა მანქანის ხმა და შუქიც გაუჩინარ-
და, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მოგვესმა თუხთუხი.

— ჩვენსკენ მოდის, — წამოვიძახე და ანდროს შევხედე.

სიმიინდებიდან გავცოცდი და ხეზე ავედი; გარკვევით ვხედა-
ვდი, მანქანა ჩაბნელებულ, მისვეულ-მოხვეული გზით თუ რო-
გორ მოიწვედა ჩვენსკენ. ტბასთან რომ მოაღწია, ერთი მაგ-
რად დაიხროტინა და შუქიც ჩაქრა.

იმწამსვე ხიდან ჩამოვეშვი და ანდროსთან მივირბინე:
— უკვე მოვიდნენ!

დათომ სანადირო თოფი მოიმარჯვა, ჩვენ კეტებს წამოვაგ-
ლეთ ხელი.

— დაიცა, ჯერ საქმეს შეუდგენ. დამნაშავე დანაშაულზე
უნდა შეიპყრო! — თქვა ანდრომ და ხელით გვანიშნა შევჩერე-
ბულიყავით.

ორი კაცი მანქანიდან გადმოვიდა, თან სამი დიდი კასრი
გადმოიღეს. ისინი სწრაფად მოძრაობდნენ, მძლოლიც შველო-
და.

ის იყო კასრებს თავი მოხადეს და საწამლავს სათლებში
უპირებდნენ გადასხმას, რომ ამ დროს:

— რას აკეთებთ, მოშველება ხომ არ გჭირდებათ? — დამ-
ცინავად უთხრა ანდრომ და მათ წინ დოინჯშემოყრილი დად-
გა.

— მოშველება?... — დაბნეულად წამოიძახა ჩაფსკვნილმა
კაცმა და ანდროს სამხრეებს რომ შეავლო თვალი, შეკრთა,
სათლი ხელიდან კინალამ გაუვარდა.


— აბა, კასრები ისევ მოათავსეთ მანქანაში და თქვენც ჩა-
სხედით შიგ.

— კი მაგრამ... ჩვენ აქ იმისათვის მოვედით, რომ... — თა-
ვის გამართლება სცადა მეორემ.

— ვიცი, რისთვისაც მოხვედით, აბა, ჩქარა! — უბრძანა ან-
დრომ და კიდევ უფრო ახლო მივიდა მათთან.

„მეთევზეები“ უხმოლ დამორჩილდნენ ანდროს ბრძანებას.
კასრები მანქანაში სასწრაფოდ შეზიდეს და თვითონაც ჩასხ-
დნენ.

მანქანა მოსახვევს მიეფარა. ჩვენ სირბილით დავბრუნდით
კარავში და ცეცხლი გავაჩაღეთ.



მეხნიერებას ჯერ არ გაუხია პასუხი...

რა უცნაური ნახატე-
ბია! ერთი—ფარმომარჯ-
ვებულ მეომარსა ჰგავს,
მეორე—მიწის მუშას,
ფიწლით ხელში; მესა-
მე—წიწვიან ხეს წაა-
გავს...

ეს უცნაური ნახატები
ჯერ კიდევ ამოუხსნელი,
ორი სხვადასხვა დამწერ-
ლობის ნიმუშებია.

ზედა მწკრივის ნიშნე-
ბი ინდოეთის ტერიტო-
რიაზე იპოვეს არქეოლო-
გიური გათხრების დროს;
ისინი ბუქლებსა და ავგა-
როზებზე იყო ამოკვეთი-
ლი. ხალხი, რომელიც
ამ ნიშნებით წერდა,
ჩვენს ერამდე მესამე
ათასწლეულში ცხოვრობ-
და. მრავალი მეცნიერის
თავდადებული შრომის
მიუხედავად, ჯერ ვერა-
ვინ ამოიცნო, რას ნიშ-
ნავს ეს უცნაური ნახა-
ტები, ვერავინ შეძლო
მათი ამეტყველება.

მეორე მწკრივის ნიშ-
ნები სულ ახლახან აღ-
მოაჩინეს ადღგომის კუნ-
ძულზე—წყნარ ოკეანე-
ში. ნიშნები ხის ფირ-
ფიტაზე იყო ამოკვეთი-
ლი. ამბობენ, გასული
საუკუნის მიწურულში,
ადღგომის კუნძულზე კი-
დევ იყვნენ ადამიანები,
რომლებიც კითხულობდ-
ნენ ამ უცნაურ ასოებ-

სო, დღეს კი დედამიწა-
ზე კაციშვილი არ მოი-
პოვება ხის ფირფიტაზე
ამოჭრილი „კოხაუ რონ-
გო-რონგოს“ (ახე უწო-
დებენ ამ წარწერებს)
ამოკითხვა რომ შეეძ-
ლოს.

იმ ადგილებს შორის,
ხადაც ეს დამწერლობე-
ბი აღმოაჩინეს, ოცი ათა-
სი კილომეტრია. კიდევ
უფრო საოცარი ის არის,
რომ ის ეპოქები, როცა ამ
ნიშნებით საჩვენებლბ-
დნენ, ოთხი ათას ხუთასი
წლით არიან ერთმანეთს-
ხაგან დაშორებულნი.

აღსანიშნავია, რომ ამ
ორი „ანბანის“ ყველა
ნიშანი არ ემთხვევა
ერთმანეთს, მაგრამ 160
ნიშანი, რომლებიც თი-
ქმის საცხებით მსგავსია,
მათ უმეტეს ნათესაობა-
ზე მეტყველებს. (ინდოე-
ლებს სულ 400-მდე ნი-
შანი ჰქონიათ, ადღგომის
კუნძულის მკვიდრთ კი—
500).

არ შეიძლება ეს უც-
ნაური დამთხვევა უბრა-
ლო შემთხვევით აიხსნას.

გავა დრო და, მეცნიე-
რება აღბათ იტყვის თა-
ვის სიტყვას, აამეტყვე-
ლებს საიდუმლოებით
მოცულ ამ ორ დამწერ-
ლობას.



სპორტმა ადრე გაიტაცა. დილით ლოგინიდან წამოხტებოდა, ხელ-პირს ცივი წყლით დაიბანდა და რადიოს ხმაზე იწყებდა გამამხნეველ ვარჯიშს. მერე უზომო ჩასულს ტოლი გოგო-ბიჭები სირბილსა და ხტომაში ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მკვირცხლ ვერიკოს ვერაგინ ჯობნიდა. თანაკლასელთა შორისაც პირველი იყო. ფიზკულტურის მასწავლებელს მოსწონდა მისი „ოსტატობა“. ამიტომაც იყო, რომ იგი ბავშვთა ცენტრალურ სატანვარჯიშო სპორტულ სკოლაში მიიყვანა და გამოცდილ მწვრთნელს ემა ქოვლიევას ჩააბარა.

—სპორტი გიყვარს? — ღიმილით შეეკითხა ახალგაზრდა მწვრთნელი.

- ძალიან.
- რამდენი წლისა ხარ?
- ათის.
- რომელ სკოლაში სწავლობ, რომელ კლასში ხარ?

—მე-60 საშუალო სკოლის მეოთხე კლასში, — უპასუხა ვერიკო ლაბაძემ.

მწვრთნელმა თეთბაბთიან გოგონას ხელი მოხვია და დარბაზში შეიყვანა. ტაიტი, რგოლები, ღერძი, ორძელი, მოვარჯიშე ბავშვები, ცალ-ცალკე გააცნო.

მერე დაიწყო წვრთნა. დრო ნელ-ნელა გადიოდა. ვერიკომ შეისწავლა ნაირსიმაღლის ორძელზე ტრიალი, ბრჯენითი ხტომა, დვირზე გაბედული სიარული, თავისუფალი ვარჯიში. შპაგატის გაჭიმვა. შემდეგ მეორე თანრიგც მიიღო.

ერთხელ, დარბაზში ათლეტური ტანის მამაკაცი შემოვიდა, ბავშვებს მიესალმა და დაბალ მერხზე ჩამოჯდა. კარგახანს ყურადღებით აკვირდებოდა მათ ვარჯიშს, მერე ემასთან მივიდა და რაღაც უთხრა. მწვრთნელმა საათს დახედა და ბავშვებს მიუბრუნდა:

—ლაბაძე ჩემთან, სხვები—სახლში! ნორჩი სპორტსმენები ჟრიაშულით გაცვივნენ ღერეფანში. დარბაზში და-

რჩენილი გოგონა კი მალაყზე გადავიდა და მოსაუბრეებთან გაჩნდა.

— გურამ გარსევანიშვილს შენი გაცნობა უნდა, — უთხრა ემამ, — იგი ქართული ცირკის მსახიობია. გურამმა ბავშვობაშივე სპორტს მოკიდა ხელი. ახლა უკვე სსრ კავშირის ოთხზის ჩემპიონია და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

გოგონამ სტუმარს გაკვირვებული თვალებით ახედა. არ იცოდა რა ეპასუხა. ლაპარაკში ახალგაცნობილი ჩაერია:

— გიყვარს ცირკი? ვერიკომ პასუხად მხრები აიჩჩა. გაურკვეველობიდან ისევ მწვრთნელმა გამოიყვანა.

— გურამს შენი ვარჯიში მოეწონა და ამიტომ ცირკში აკრობატად მუშაობას გთავაზობს.

ბავშვმა ვერც ამჯერად ამოიღო ხმა.

— ცირკი? მუშაობა? ჯერ ხომ... მერე დედა?! — ჩავარდა საგონებელში...

დეიდა ემა და გურამი გოგონას შინ გაყენენ. დედამისმა სტუმრები გულთბილად მიიღო. როცა მათი მისვლის მიზეზი შეიტყო, სახტად დარჩა, გაგონებაც არ უნდოდა:

— რას ამბობთ! რა დროს მაგის მუშაობაა, ისიც ცირკში...

გარსევანიშვილმა არ აცალა, სიტყვა შეაწყვეტინა:

— ქალბატონო! ცირკის მსახიობთა უმრავლესობას სწორედ 10—12 წლის ასაკში აქვს დაწყებული თავისი მოღვაწეობა. თქვენს შვილს საკმაო სპორტული მომზადება აქვს, ელასტიური და სწრაფია. მისგან ცირკის საუკეთესო მსახიობი დადგება. მზრუნველობას არ მოვაკლებ, ჩემს საკუთარ შვილებში არ გამოვარჩევ.

დედა მოლობა. ცრემლი მოიწმინდა და შვილს გადახედა:

— შენ რაღას იტყვი? თანახმა ხარ?

ბჭა კან

ვერიკო ღუმდა. მეორე ღღეს გურამი მომავალ მსახიობს ცირკის ყველა კუთხე-კუნჭულს აცნობდა:

— ალბათ, არ იცი, რომ ნახევრით მოყრილი სარბიელი ცირკის გულს წარმოადგენს და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უსუსტად ერთნაირია — 13,5 მეტრი დიამეტრის მქონე. ფიქრობენ, რომ მრგვალი ფორმის მანუჟის შექმნა საცხენოსნო ჟანრით არის ნაკარნახევი. მართლაც ცხენს მხოლოდ წრიულ მანუჟზე შეუძლია დაიცვას ჭენების თანაბარი ტემპი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსახიობი ვერ შეძლებს ცხენზე ფეხით დგომას და რთული ილეთების ჩვენებას.

მოსაუბრებმა მანეჟი გადაიარეს, თაღქვეშ გავიდნენ და გვირაბის მსგავს ტალანში აღმოჩნდნენ. გოგონამ კედლის გასწვრივ სხვადასხვა ზომის ყუთები შეათვალიერა.

— ამ ყუთებში ჩვენი რეკვიზიტია — სამუშაო იარაღი, — აუხსნა მეგზურმა. ვერიკო ყურადღებით უსმენდა თავის „გიდს“.

რეპეტიციებისათვის მცირე დრო რჩებოდა. გურამმა პატარა პარტნიორს ასწავლა ახალი ილუტები, პირუტები, აკრობატული ეტიუდები და, რაც მთავარია, მსახიობობა.

თავდაპირველად ვერიკო ვერ მიხვდა, რომ პარტნიორის ხელში ცალ ფეხზე დგომის დროს თვითონ არ უნდა დაეცვა წონასწორობა — ბალანსი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ატყობდა, რომ გადმოვარდნა ელოდა, მაინც ლარივით უნდა გაჭიმულიყო. პირველ რეპეტიციაზე ეს პირობა ვერ დაიცვა და გურამს ხელიდან წაუვარდა. გამოცდილი ოსტატის სისწრაფემ გოგონა ტრავმას გადაარჩინა. ეს „გაკვეთილი“ შემდეგში ვერიკოს არ დავიწყებია. თანდათან გაშალა შინადა, დაიხვეწა მათი ნომერი.

და აი, 1964 წლის 16 იანვარს ქართული ცირკი განახლებული პროგრამით თბილისელ მაყურებელთა წინაშე წარდგა. მაშინ პროგრამის წამყვანმა მსახიობმა მიხეილ ლალაშვილმა ხალხით გაჭედილ დარბაზში ომახიანი

იხარა და თავი ფეხის ქუსლებზე მიაბჯინა... დარბაზში მოწონების შედახილები გაისმა. პატარა მსახიობმა ახლა სახტუნელა ბაწარი აიღო, ერთი ნახტომით ისევ პარტნიორის ხელებზე აიჭიმა და ისე, როგორც პატარაობისას იატაკზე ხტუნავდა, გურამის ზეადმართულ ხელებზე დაიწყო ვარჯიში. მალე ბაწარი უნიფორმისტს გადაუგდო, თვითონ ქვევით გადმოეშვა, ჰაერში სალტო გააკეთა, კიდევ ორმაგი მაღაყით მანეჟის ცენტრში მოხდენილად შეჩერდა და მაყურებელს თავი დაუკრა. ორკესტრი დადუმდა, დარბაზმა იგრიალა.

ნომრის მსვლელობის დროს ფარდის უკან შეგუფული დასის თითქმის ყველა წვერი ჭუჭრუტანებიდან აღელვებით უთვალთვალებდა ახალბედა მსახიობის გამოსვლას და კულისებში ვერიკოს ახლა კოლეგებმა შეაგებეს ტაში.

ასე გაგრძელდა ერთ თვეს. შემდეგ კი მანეჟის ქართველი ოსტატები ერევანს ეწვივნენ. აქედან დაიწყო ვერიკო ლაბაძის პირველი საგასტროლო მოგზაურობა.

პახგანგ ნიკოლაივილი



ხმით პირველად გამოაცხადა:

— რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გურამ გარსევანიშვილი და მსახიობი ვერიკო ლაბაძე.

ფარდა გაიხსნა და მანეჟზე თეობაბთიანი, ლამაზ კოსტუმში გამოწყობილი დებიუტანტი გამოვიდა. მას დინჯად შემოყვა მომღიმარი მასწავლებელი. გაისმა ტემპიანი მუსიკის ხმა. გოგონა სწრაფად შემოტრიალდა, ერთი ნახტომით გურამს მხრებზე მოექცა და ჯერ ორივე ხელით, შემდეგ ცალით ყირა გაჭიმა. დაიწყო ლამაზი აკრობატული ეტიუდების წარმოდგენა. ილუთი ილუთს ცვლიდა. აი, სპორტსმენის ხელებზე მდგარი გოგონა ზურგისაკენ ნელ-ნელა გადაიხნიჭა, რკალივით მო-



ცხიმის ლაქა ადვილად ამოჰყავს ბენზინს, ბენზოლს, სკიპიდარს (ბელეკონს). თუ ლაქა ახალია, დაადე საშრობი ქალაქი სამ ფენად, ზედ გადაუსვი ოდნავ გახურებული უთო და შემდეგ გაწმინდე.

მელნის ლაქის ამოღება ადვილია შემთბარი ძმრის მჟავით. დალაქავებული ადგილი რამდენჯერმე უნდა ჩაუშვა ძმრის მჟავაში. შემდეგ კი უნდა გაავლო საპნიან წყალში.

თუ გინდა, რომ თათარიანხი (ბულიონი) გემრიელი და სასიამოვნო ფერის იყოს, — დუღილის დროს ქვაბს ახადე ხუფი, ქაფქირით მოხადე ქაფი.

თუ გინდა, რომ თათარიანხს ქონის გემო არ დაჰკრავდეს, დრო და დრო, ცოტ-ცოტაობით ამოაკელი თავზე მოყენებული ცხიმი; ადუღე ნელ ცეცხლზე, — წვენი გამჭვირვალე, სასიამოვნო იქნება.

როგორ განვაცალკევოთ ერთმანეთში ჩაჭედილი ჭიქები? გარეთა ჭიქის ძირი მოათავსე თბილ წყალში, შიგნითა ჭიქაში ჩაასხი ცივი წყალი. ორივე ჭიქა აბრუნე სხვადასხვა მიმართულებით. — ჭიქები ერთმანეთს ადვილად მოშორდებიან.

9387
უისკუნ



ნამო“ II-ს ხვდება. არ ჩანს „მეტა-
ლისტის“ მეკარე. მწვრთნელი სასწ-
რაფოდ აძლევს დავალებას დო-
როსოვს, — დადგეს კარში. კარში?
შურას არასოდეს არ უთამაშვია მე-
კარედ, ეს ადგილი არასოდეს არ აი-
ნტერესებდა და არც იტაცებდა; ის
ყოველთვის წინ თამაშობდა, თავ-
დასხმაში. ახლა კი, რას იწამი დგე-
ბა შურა დოროსოვი კარში და...
რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი ქვეყ-
ნის სტადიონებზე აღფრთოვანებით
ხვდებიან მწვანეჭებრიან, მოხდენი-
ლი გოლიკებრის გამოჩენას; ფეხ-
ბურთის სპეციალისტები, გულში-
მატივრები განცვიფრებით აღვიწე-
ბენ თვალს მის ვირტუოზულ თა-
მასს.

დოროსოვი

შურა დოროსოვს ისედაც პატარა თვალები მთლად მოუჭუტავს და ინტერესით აკვირდება ოთხკუთხა ფოტოსურათს; ხან ახლოს მიიტანს, ხან შორს დაიჭერს და თავგადაწეული, ნაღვლიანი ღიმილით დაუყურებს:

— როგორ არ მახსოვს, შესანიშნავად მახსოვს. 1987 წლის ზაფხული იყო. ტაგანროგში ჩავდივით, თასზე უნდა ჩაგვეტარებინა შეხვედრა. თამაშის წინა დღეს ბაზარში შევიარეთ, ცხელი დღე იყო და ყველამ შევიძინეთ ჭილის ქუდები. მერე იქვე ფოტოგრაფი ვნახეთ და ეს სამახსოვრო სურათიც მაშინ გადავიღეთ. წინ რომ ჩამუხლულა — მიშა ბერძენიშვილია, მარცხნივ რომ ზის — ბორიაა; მახსოვს, ვიღაც პატარა ბიჭი მოძებნა იქვე და გვერდზე დაიყენა. შუაში მე ვარ, ფოტოგრაფის ჩოხაში გამოწყობილი; ჩემს გვერდით უნია ბუშნოი ზის, მაშინ ჩვენთან თამაშობდა სათადარიგო მეკარედ; „მეზღვარი“ — გრიშა გაგუაა, თავზე ვლადიმერ ჭორბენაძე და თენგიზ გავაშელი გვადგანან... ეჰ, რა ბიჭები ვიყავით! — გვერდულად იცინის შურა და... ცოცხლდება განვლილი წლები.

აღუქსანდრე დოროსოვი, რომლის სახელიც ლეგენდასავით შემორჩა ქართული ფეხბურთის მატჩანეს, როგორც ყველა ბავშვი, დასდევდა ნაჭრის ბურთს თბილისის ეზოებსა და ქუჩებში. 1928 წელს იგი უკვე „ნამდვილი“ ფეხბურთის გუნდში — „მეტალისტში“ ირიცხებოდა, რომელიც ქალაქის პირველობაზე თამაშში იღებდა მონაწილეობას. მესამეხარისხოვან გუნდში, თანაც უფრო მეტად სათადარიგო სკამზე ჯდომა, არც თუ ისე სახარბიელო იყო, მაგრამ...

ერთ დღეს „მეტალისტი“ ქალაქის პირველობაზე „დი-

ა. დოროსოვს ფეხბურთში „მოღვაწეობა“ მოუხდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ყალიბდებოდა, ფეხს იღვამდა ქართული ფეხბურთი, საფუძველი ეყრებოდა გუნდს, რომელიც შემდეგ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად მოინათლა.

1986 წლამდე, სანამ თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან ერთად ჩაებმებოდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებაში, ა. დოროსოვი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ოფიციალურ თუ ამხანაგურ შეხვედრებში. 1938 წელს იგი ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდთან ერთად მიემგზავრება ანტიფაშისტურ შეკრებაზე შევციაში, თამაშობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კლუბებთან. მან სამჯერ ითამაშა ბასკების წინააღმდეგ და, როგორც მაშინდელი გაზეთები აღნიშნავდნენ, იგი ყოველთვის ბრწყინვალედ იცავდა კარს. 1988 წლიდან კი ა. დოროსოვი თბილისელთა უცვლელი, საიმედო გუშავია.

— მაინც, რომელი მატჩი მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე საუკეთესოდ?

— ცდკა-სთან! — დაუფიქრებლად პასუხობს ა. დოროსოვი, — ეს მატჩი არასოდეს დამავიწყდება, იგი ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო და სამახსოვროა.

1989 წელს მეოთხედ თამაშდებოდა საბჭოთა კავშირის თასი. მერვედფინალში ბათუმის დინამოელებს შეეხვდით და დავამარცხეთ — 5:0-ზე. შემდეგი შეხვედრა ცდკა-სთან გვიწევდა და მოსკოვში გავემგზავრეთ. ჩავდივით დედაქალაქში და მე დავიკარგე რამდენიმე დღით, გავიპარე შეკრებიდან და... შევირთე ცოლი. დიახ, სამწუხაროდ, ასეთი „ჩავარდნები“ საქმარისად მქონდა.

როგორ დაავაზიერა ცნობილმა სიდნეი ჰოლმა ბოროტმოქმედი

წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდნენ ბიჭები. თამაშის წინა დღეს გამოცხადდა. ხმას არავინ მცემს, მიბღვერიან. ჩემს თამაშზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია. ხან გუნდის კაპიტანს შოთა შავგულიძეს, ხან მწვრთნელს მიხეილ ბუტუსოვს ვეხვეწები, რომ მაპატიონ დანაშაული და კიდევ ერთხელ მანდონ კარის დაცვა. ბიჭების თხოვნით, კიდევ ერთხელ მაპატიეს „დანაშაული“.

ალბათ, მინდოდა დანაშაული გამომეხსიდა. ასე მომდომებოდა, ასე თავგამოდებით, მე მგონი, არასოდეს მითამაშნია. არმიელები მთელი ორი ტაიმის განმავლობაში გვიტყვედნენ. მე თითქმის ნახევრად გაბრუებული ვთამაშობ. კარის ხან ერთ კუთხეში ვგადივარ, ხან მეორეში; ფრთები გამოვისხნი, თავგანწირვით ვუვარდები ფეხებში თავდამსხმელებს. განსაკუთრებით გრიშკა ფედოტოვი გამწარებული. მირტყამს ყოველი მდგომარეობიდან, ყოველი მანძილიდან. მე კი მიყვარდა მისი ყუმბარისებრი დარტყმები, წინასწარ ვუგებდი მას და გამარჯვებული გამოვდიოდი ყოველთვის. საერთოდ, მე ერთადერთი მეკარე ვიყავი, რომლისთვისაც ფედოტოვს ბურთი არ გაუტანია. გამწარებული მყავდა. საქმე იმაშია, რომ მე ზედმიწევნით კარგად ვიცნობდი მის დარტყმებს, შევეჩვიე და შევისწავლე იგი. ჩვენ ერთად მოგვიხდა კინოგადაღებაში მონაწილეობის მიღება. ცენტრალურმა სტუდიამ გადაიღო საწვრთნელ-სასწავლო ფილმი, რომელშიც მე და ფედოტოვი მიგვიწვიეს, აი, სწორედ ამ გადაღებების პერიოდში შევისწავლე და მივეჩვიე ფედოტოვის დარტყმებს.

...მეორე ნახევრის ბოლო წუთებია. ანგარიში ნოლით ნოლია. არმიელები კვლავ გვიტყვენ. მთელი ჩვენი გუნდი დაცვაზეა გადასული, წინ მარტო ასლან ხარბელია დგას. აი, მე კიდევ ერთი მოულოდნელად დარტყმული ბურთი ავიღე, გავედი წინ, საჩარიმოზე, და ხელით გადავაწოდე ბურთი ა. ხარბელის. მის წინ მხოლოდ ორი მცველია, ჩვენი გარემარბი ორივეს ატყუებს, ურტყამს კარში და... გოლი — 1:0. არმიელებმა ველარაფრის გაკეთება ვეღარ შეძლეს. მხოლოდ ბოლო წუთებში კიდევ ერთხელ გამოეცა ჩვენს მცველებს ფედოტოვი, ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავრჩით. მე ელვის სისწრაფით ვავვარდი წინ და ფეხებიდან ავაცადე ბურთი მოსკოველების ცენტრალურ თავდამსხმელს.

— რას მიშვრები, შურა! — ყვირის ფედოტოვი და თან ორივე ხელს თავში იშენს. მე კი ბურთი გავთამაშე მწვანე მინდორზე და ძლიერი დარტყმით შევიყვანე თამაშში. მოვიგეთ მეტად დაძაბული მატჩი...

შეიძლება ამ თამაშზე ვგრძნობდი, რომ ეს სეზონი ჩემთვის თბილისის „დინამოში“ ყოფნის უკანასკნელი სეზონი იქნებოდა. ვინ იცის! საერთოდ კი ის წლები, როცა ხელთათმანს ვიცვამდი და მშობლიური გუნდის კარში ვდგებოდი, — ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებად მიმაჩნია. ახლაც ხშირად მოვიგონებ წარსულ დღეებს და ვცდილობ ჩემს მოწაფეებს გადავცე მთელი გამოცდილება, დავებმარო მათ უფრო სახელოვანი, კარის უფრო მედგარი მცველები გახდნენ.

მთელი ჩემი წარმატება დაკავშირებულია მეგობრულ კოლექტივთან, რომელსაც თბილისის „დინამო“ ჰქვია და, რომლის სიყვარულს ჩემთვის სამუდამოა, — ამბობს შურა დოროხოვი და ხელიდან არ უშვებს სურათს, რომელმაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გაახსენა.

ქარულ
ჩაპუკი
ნახატები
ავტორის ძმის
იოჯავ
ჩაპუკისა

როცა სიდნეი ჰოლმა, ცნობილმა ამერიკელმა დეტექტივმა, გაზეთებში წაიკითხა, როგორ დაიკარგა მეფის კატა, დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა ბოროტმოქმედის დაჭერა. მილიონერივით ჩაიცვა, ჯიბეში რევოლვერი ჩაიღო და ევროპაში გაემგზავრა. იქ რომ ჩავიდა, მაშინვე პოლიციის პრეზიდენტთან გამოცხადდა. პრეზიდენტმა უამბო, როგორ გაუჭირდათ ბოროტმოქმედის დაჭერა.

სიდნეი ჰოლს გაეცინა და უთხრა: ორმოც დღეში ბოროტმოქმედს მოგვერიოთ.

— ყოვლად შეუძლებელია! — შესძახა პრეზიდენტმა.

— ერთ ჯამ მსხალზე დავნაძლევედეთ! — უთხრა სიდნეი ჰოლმა. მას ძალიან უყვარდა მსხალიც და სანაძლეოც.

— კეთილი, — თქვა პრეზიდენტმა, — მაგრამ, გვიბრძანეთ, როგორ მოახერხებთ ამას?

— უწინარეს ყოვლისა, — მიუგო სიდნეი ჰოლმა, — იძულებული ვიქნები მსოფლიოს შემოვუარო, მაგრამ ამისათვის დიდძალი თანხა საჭირო.

პრეზიდენტმა მისცა დიდძალი თანხა და, რომ მისთვის თავი გამჭირვად მოეჩვენებინა, თქვა: — ჰოო, უკვე მიგიხვედით, მაგრამ საიღუმლოება უნდა დავიცვათ, ბოროტმოქმედმა არ გაიგოს, რომ მას კვალდაკვალ მივდევთ.

— პირიქით, — მიუგო დეტექტივმა, — მსოფლიოს ყველა გაზეთში

დიდი
ულაპარი
კატაზე
(ნაწყვეტი)

გამოაქვეყნეთ, რომ ცნობილმა სი-
დნეი ჰოლმა იქსრა ორმოც დღეში
ბოროტმოქმედის დაჭერა.

სიდნეი ჰოლმა აქედან პირდაპირ
მიაშურა ერთ ცნობილ მოგზაურს,
რომელსაც ერთხელ უკვე შემო-
ევლო მსოფლიო ორმოცდაათ დღე-
ში, და უთხრა: — დავნაძლევდეთ,
რომ დედამიწას ორმოც დღეში შე-
მოვუვლო.

— შეუძლებელია, — მიუგო მე-
ცნიერმა, — დედამიწის შემოვლას
ბატონმა ფოქსმა ოთხმოცი დღე მო-
ანდომა, მე — ორმოცდაათი; ამაზე
აღრე შეუძლებელია.

— ათას დღეზე დავნაძლევ-
დეთ, — უთხრა სიდნეი ჰოლმა, —
რომ შევძლებ.

დანაძლევდნენ.

სიდნეი ჰოლი იმ ღამესვე გაემ-
გზავრა. ერთ კვირაში უკვე აღექსა-
ნდრიიდან მოვიდა მისი დეპეშა:
„კვალს ვადგივარ. სიდნეი ჰოლი“.
ერთ კვირაში კიდევ მიიღეს დეპეშა
ბომბეიდან: „მარყუჟი მჭირდება. სა-
ქმე ჩინებულადაა. წერილი გამო-
ვგზავნე. სიდნეი ჰოლი“.

ცოტა მოგვიანებით ბომბეიდან
შიფრისანი წერილი მიიღეს, მაგრამ
შიგ რა ეწერა, ვერავინ გაიგო.

რვა დღის შემდეგ ნავსაქიდან
საფოსტო მტრედი მოფრინდა, კი-
სერზე შებმული ბარათით, რომე-
ლშიც ეწერა: „მიზანს ვუახლოვდე-
ბი, მელოდეთ. სიდნეი ჰოლი“.

მერე მოვიდა დეპეშა სან-ფრან-
ცისკოდან — „სურდო მჭირს, სხვა-
მხრივ ყველაფერი წესრიგზეა.
მსხლები მოამზადეთ. სიდნეი ჰო-
ლი“.

დაბოლოს, გამგზავრებიდან ოც-
დამეცხრამეტე დღეს, ამსტერდამი-
დან მოვიდა დეპეშა: „ხვალ სალამოს.
შვიდ საათსა და თხუთმეტ წუთზე
ჩამოვალ. მსხლები მოამზადეთ, მი-
რჩევნია ტყბილი. სიდნეი ჰოლი“.

მეორმოცე დღეს, სალამოს შვიდ
საათსა და თხუთმეტ წუთზე სადგუ-
რზე ჩამოვდა მატარებელი. მატარე-
ბლიდან ჩამოხტა სიდნეი ჰოლი. მას
ჩამოყვა ბოროტმოქმედი, სერიოზუ-
ლი, ფერმკრთალი, თვალბდახრილი.
სადგურზე უკლებლივ დახვდნენ დე-
ტექტივები. ძალიან გაუკვირდათ,
რომ ბოროტმოქმედი შებოჭილი არ
იყო. სიდნეი ჰოლმა დამხვდურებს
ხელი დაუქანია, მერე უთხრა: — ყმაწ-
ვილებო! ამ სალამოს სასტუმრო
„ლუჩა ძაღლთან“ დამიცადეთ. ეს

ბატონი ციხეში უნდა წავიყვანო.
ბოროტმოქმედთან ერთად ეტლში
ჩაჯდა, მაგრამ უცებ გაახსენდა და
ეტლიდან ვადმოსძახა: — მსხლები იქ
მომიტანეთ!

სალამოთი, საუკეთესო მსხლით
სავსე ჯამი და მის ირგვლივ თავმო-
ყრილი დეტექტივები სიდნეი ჰოლს
ელოდებოდნენ.

როცა სიდნეი ჰოლის მომცინარე
სახე გამოჩნდა, დეტექტივები მისც-
ვიდნენ და ერთხმად შეეკითხნენ:

— როდის დაიჭირეთ ბოროტმო-
ქმედი?

— მხოლოდ გუშინ, — თქვა სა-
ხელმობვეჭილმა სიდნეი ჰოლმა, — მა-
გრამ ბოროტმოქმედს თავიდანვე ვა-
სულელებდი და სულ მეცივებოდა.

— ხელში როგორ ჩაიგდეთ! —
დაუინებით ეკითხებოდნენ დეტექ-
ტივები.

— ეგ გრძელი ამბავია. ყველა-
ფერს მოგიყვებით, ოღონდ ჯერ ამ
მსხალს შეგვაძამ.

მსხალი რომ შეჭამა, დაიწყო და-
ახლოებით ასე: — კოლეგებო, მო-
მისმინეთ. ჯერ ერთი, რაც მთავარია,
წესიერი დეტექტივი სახედარი არ
უნდა იყოს, — თქვა და გარშემო
თვალი დაკვირვებით მიმოავლო, თი-
თქოს შეეძლო დამწერეთა შორის სა-
ხედარი აღმოეჩინა.

— მერე კიდევ რა? — შეეკითხნენ
დეტექტივები.

— კიდევ რა? — თქვა სიდნეი
ჰოლმა, — მეორე ის, რომ გაქეპილი
უნდა იყოს და მერე, — განაგრძო-
ბდა, თან მსხალს ითლიდა, — მუდამ
ცოტა გადაკრულში უნდა იყოს. იც-
ით, თავს რითი იტყუებენ?

— ლორის ქონით, — უპასუხეს
დეტექტივებმა.

— თევზს?

— ჭიებითა და ჭიაყელებით.

— ბოროტმოქმედს?

— არ ვიცით.

— ბოროტმოქმედს, — დამრიგ-
ლებური კილოთი თქვა სიდნეი ჰო-
ლმა, — ისევე, როგორც ყოველ
ადამიანს, ჯერ უნდა უპოვო სუსტი
მხარე. და იცით, ბიჭებო, რა სუსტი
მხარე ჰქონდა ამ ბოროტმოქმედს?

— არ ვიცით.

— ცნობისმოყვარეობა, — განა-
ცხადა სიდნეი ჰოლმა, — ყველაფ-
რის მოხერხება შეეძლო მას, მაგრამ
ცნობისმოყვარე იყო, ნამეტანი ცნო-

ბისმოყვარე. ესლა კი მსხალი უნდა
გეახლოთ. მსხალი შეჭამა და განა-
გრძო: — თქვენ ყველას გეგონათ,
რომ ბოროტმოქმედს დასდევთ, მა-
გრამ, პირიქით, ბოროტმოქმედი და-
გდევდათ თქვენ. დაგდევდათ უკან
და თვალს არ გამოიჩინებდათ. დიდად
ცნობისმოყვარე იყო და უნდოდა
სცოდნოდა, რას უწყობდით მას.
სწორედ ამ ცნობისმოყვარეობაზე
ავაგე ჩემი გეგმა.

— რა გეგმა? — მოუთმენლად შეჭ-
ყვირეს დეტექტივებმა.

— ეს მოგზაურობა, ბიჭებო, ქვე-
ყნის გარშემო, მხოლოდ გასართობი
იყო. მე დიდი ხანია, მინდოდა მსო-
ფლიოს შემოვლა, მაგრამ შემთხვე-
ვა არ მომცემია. აქ როცა მოვედი,
მაშინვე მივხვდი, რომ ბოროტმო-
ქმედი ყველგან უკან დამედევნებო-
და, რომ გავგო როგორ დავიჭერდი
მას, ასეთია მისი ცნობისმოყვარეო-
ბა. დაე, ვიფიქრე, თან წავატოვ
ქვეყნის გარშემო სამოგზაუროდ.
მეც რამეს ვნახავ და არც მხედვე-
ლობიდან დავკარგავ-მეთქი, ესე იგი,
თვითონ არ დამკარგავდა მხედვე-
ლობიდან. ახლა ამ ღამაზე მსხალს
შეგვაძამ.

მსხალი რომ გაათავა, თქვა: —
მსხალს არც ერთი ხილი არა სჯო-
ბია! რევოლვერი და ფული თან
წავიღე, შვედ ვაჭრად გადავიცივი
და წავედი. ჯერ იანოვში ჩავედი: ეს
იტალიაშია, ბიჭებო. როცა იქ მიდი-
ხარ, გზიდან მთელ ალბებს ხედავ.
საოცარი სიმაღლისაა ალბები. მისი
მწვერვალიდან ქვა რომ მოსწყდება,
იმდენ ხანს მოგორავს, რომ მთის
ძირში ხავსმოკიდებული ეცემა. ია-
ნოვიდან გემით აღექსანდრიაში გა-
ვემგზავრე.

აღექსანდრიიდან გამოვგზავნე დე-
პეშა, რათა ბოროტმოქმედს ჰკონე-
ბოდა, რომ მასზე ვფიქრობ. მე მა-
სზე სულაც არ მიფიქრია, თუმცა
მის სიახლოვეს ყველგან ვგრძნობ-
დი. როცა თოლიები ან ჩიტები გარს
ეხვეოდნენ გემს, ან შორს, სადმე,
ალბატროსი თავისი სწრაფი ფრთე-
ბით ღრუბლებს სერავდა, ვიცოდი,
რომ მათ შორის ბოროტმოქმედიც
იყო და თანამდევდა. როცა თევზი
ზღვის სიღრმიდან თვალებს დამი-
ჭყებდა, ვგრძნობდი, რომ ბოროტ-
მოქმედი მიშერდა მისი თვალებით;
როცა მერცხლები ზღვაზე გადაფრე-
ნისას ნავარდით ჩვენს გემს უახლო-

ვდებოდნენ, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ შორის თეთრი, ყველაზე ლამაზი, ის იყო.

რაკი ალექსანდრიაში ვიყავი, კურორტული მდინარე ნილოსით ქაიროშიც შევიარე.

ძალიან ცხელოდა. ნილოსში ჩავედი საბანაოდ, თან მხოლოდ რევოლვერი მქონდა, ტანისამოსი ნაპირზე დავტოვე. სწორედ ნაპირზე ამოვიდა უზარმაზარი ნიანგი და მთელი ჩემი ტანისამოსი საათიან-ფულიანად შთანთქა. გამოვუღდექი და რევოლვერის ექვსი ტყვია დავახალე, მაგრამ ტყვიები უკან ცვივოდა, გვეგონებოდათ, ჯაგშანი ფოლადისა აქვსო. ნიანგი ხმამაღლა დამკინოდა. ახლა კი მსხალს შევჭამ.

ეს მსხალიც რომ შეჭამა, სიღნევი ჰოლმა განაგრძო თავისი ამბის მოყოლა:

— ხომ იცით, თქვე ყაჩაღებო, რომ ყველა ნიანგს შეუძლია პატარა ბავშვივით იტიროს. ამით იტყუებებს ხალხს წყალში. კაცსა ჰგონია, ბავშვი იბრჩობაო, საშველად მირბის, ნიანგი კი მას იტაცებს და ყლაპავს. მაგრამ ის ნიანგი ისეთი ბებური და ჭკვიანი იყო, რომ მხოლოდ ბავშვივით ტირილი კი არ იცოდა, — მეზღვაურივითაც იგინებოდა, ოპერის მომღერალივით მღეროდა და, საერთოდ, ადამიანივით ლაპარაკობდა.

ცოტა არ იყოს შემეშინდა. რა უნდა მექნა შიშველს — უფულოდ? უცებ, სად იყო და სად არა, ჩემს გვერდით შავი არაბი გაჩნდა და ამ ურჩხულს უთხრა: — შენ, ეი, ნიანგო, ტანისამოსი საათიანად შენ ჩახეთქე?

— ჩავხეთქე, — უპასუხა ნიანგმა.

— სულელო, — ეუბნება არაბი, — ის საათი მომართული კი არ იყო! რაში გამოგადგება საათი, რომელიც არ მუშაობს?

ნიანგი ჯერ ჩაფიქრდა და მერე მითხრა: — შენ, ეი, პირს ცოტათი გავაღებ. ხელი კუჭში ჩამიყავი, ამოიღე საათი, მომართე და ისევ თავის ადგილას ჩადე.

— მაგას კი ვიზამ, — ვუთხარი, — მაგრამ ხელი რომ მომჭამო? მოდი, ყბაში ამ კეტს ჩავიყენებ, რომ ეგ უმგვანო ხახვა ველარ მოკეტო.

— მე უმგვანო ხახვა არა მაქვს, — თქვა ნიანგმა, — მაგრამ რაკი სხვანაირად არ გინდა, ჩამიყენე ეგ კეტი ყბაში, მალე ქენი.



მეც, რასაკვირველია, ასე მოვიქეცი. კუჭიდან მარტო საათი კი არა, ჩემი ტანისამოსი, კალოშები და ქუდიც ამოვიღე და ვუთხარი: ამ ძველ კეტს ყბაში სასოფრად დავიტოვებთქი. ნიანგს უნდოდა გაველანძღე, მაგრამ არ შეეძლო, რადგან ყურებამდე დაფჩენილ პირში კეტი ჰქონდა შედგმული; უნდოდა შევეჭამე, მაგრამ არ შეეძლო, თხოვნა უნდოდა — არ შეეძლო. ტანსაცმელი დინჯად ჩავიცვი და ვუთხარი: იცოდე, რომ უმგვანო, საზიზღარი ხახვა გაქვს-მეთქი და პირში ჩავაფურთხე. ნიანგს სიბრაზისაგან თვალებიდან ცრემლები გადმოსცვიდა.

მივიხედ-მოვიხედე და ის არაბი, რომელიც ასე ეშმაკურად დამეხმარა, აღარსად ჩანდა. ნიანგი კი დღე-

საც ყურებამდე პირდაფჩენილი და-ცურავს ნილოსში.

ალექსანდრიიდან ისევ ბომბეიში ჩავედი. ინდოელი რაჯის ანუ თავადის ტანისამოსი ვადავიცი. ბიჭებო, როგორ მიხდებოდა!

ჯერ წითელ ზღვაზე მივცურავდით. წითელი იმიტომ ჰქვია, რომ სულ რცხენია, უფრო დიდი რომ არ არის. ერთ დროს ზღვები უფრო ახალგაზრდები და პატარები იყვნენ და თანდათან უნდა გაზრდილიყვნენ. წითელი ზღვა ნაპირზე არაბთა ბავშვებს ეთამაშებოდა და დრო ისე გამოეპარა, გაზრდა ვერ მოასწრო, თუმცა უფალმა გარშემო უდაბნოებში კარგი ქვიშა მოუშინა, რათა ზღვის ფსკერი გაეკეთებინა. მას ეს მხოლოდ უკანასკნელ წუთს გაახსენ-



და და გაზრდა მხოლოდ სიგრიდითა შეეძლო. მასა და ხმელთაშუა ზღვას შორის დარჩენილი იყო მხოლოდ მიწის მშრალი ზოლი, რომლითაც მოიწადინა ხმელთაშუა ზღვას შეერთებოდა. იმდენს ცდილობდა, რომ ხალხს შეებრაღა და ისინი არხით შეაერთა. მას აქეთ წითელი ზღვა ისე აღარ წითლდება ხოლმე. მერე წითელ ზღვას გავცილდით, ერთხელ, მძინავს ჩემს კაიუტაში, უტეც ვილა-ცამ დააჯაყუნა. კარი გავაღე—დერეფანში არავინ არ იყო. მომესმა:—ეს რაჯა მოვკლათ,—ეჩურჩულება ერთი მეორეს, — თვალ-მარგალიტი, რაც ტანისამოსზე უკერია, ავხსნათ!

— გეფიცებით ყველაფერს, ბიჭებო, ეს სამკაულები სულ უბრალო შუშისა იყო.—აქ მომიცადე, — ჩასჩურჩულა მეორემ, — დანა ზევით დამავიწყდა. — ვიდრე ის დანას მოიტანდა, ვტაცე ხელი კისერში კართან მიმაღულს, პირი დაიფუცე, რაჯის ტანისამოსი გადაავაცი და ჩემს ლოგინზე დავაწვინე. მერე მისი ტანისამოსი გადავიცი და კართან გავჩერდი. როცა მეორე მოვიდა დანით, ვეუბნები:—რაჯას ნულარ მოკლავ, მე უკვე დავახრჩე. მოდი და ახსენ თვალ-მარგალიტი, მე კი აქ გავჩერდები სადარაჯოდ-მეთქი. შეძვრა თუ არა ჩემს კაიუტაში, ხელად კარი გადავურაზე და კაპიტანთან წავედი. „კაპიტანო,—ვეუბნები, — ახირებული ხალხი მეწვია“. კაპიტანმა რომ გაიგო, რაც მოხდა, ორთავე მაგრად მიაბეგვინა; დანარჩენებს დავუძახე, ვაჩვენე ჩემი „თვალ-მარგალიტი“ და ვუთხარი: — იცოდეთ, ბავშვებო და არამზადებო, ჭკვიანი კაცისათვის რა უმნიშვნელო რამეა თვალ-მარგალიტი, უყურეთ! — და ყველა ეს შუშის „ძვირფასეულობა“ ზღვაში გადავისროლე.

— ოჰ! რა ბრძენი და კეთილშობილი ყოფილა რაჯა, — იძახდნენ ყველანი და თავს ხრიდნენ ჩემს წინაშე. მაგრამ კაიუტაში ვინ მომიკაჟუნა და სიკვდილს ვინ ვაღამარჩინა, დღესაც არ ვიცი. ახლა კი იმ დიდ, კარგ მსხალს გეახლებით.

მსხალს ჭამდა, თან თხრობას განაგრძობდა.

— ასე ბედნიერად ჩამოვედი ბომბეში. ინდოეთი, ბიჭებო, დიდი და არაჩვეულებრივი მხარეა, ზოგჯერ იქ ისე ცხელა, წყალიც კი სულ მშრალია, უნდა მორწყო, რომ სულ არ

აორთქლდეს. ისეთი დაბურული ტყეებია, რომ შიგ ხეებისთვისაც კი აღარ არის ადგილი. ამას უღრან ტყეს ეძახიან. წვიმა თუ მოვიდა, ყველაფერი ვეებერთელა იზრდება. მთელი ტაძრები ამოვა მიწიდან, როგორც ჩვენში სოკოები; მაგალითად, ბენარესში ამიტომ არის იმდენი ტაძარი. მაიმუნები ხომ იმდენია, როგორც ჩვენში ბელურები, და ისეთი თვინიერები არიან, ოთახშიც კი შემოდიან. ზოგჯერ დილით გამოგედევძება და შენს ლოგინში, შენს მაგივრად მაიმუნი წევს. ასეთი მოშინაურებულები არიან ის არამზადები! გველები ძალიან გრძელაა, როცა ასეთი გველი თავის კუდს გახედავს, ველარ სცნობს, სხვა უფრო გრძელი გველი მომდევსო—ჭკონია და მირბის, მირბის და ქანცამოლეული საცოდავად კვდება. სპილოებზე რა ვითხრათ, ისინი იქ თავს ისე გრძობენ, როგორც საყუთარ სახლში. საერთოდ, ბიჭებო, ინდოეთი დიდი მხარეა. ბომბეიდანაც გამოვგზავნე შიფრირანი დეპეშა, რომ იმ არამზადს ეფიქრა, ვინ იცის, რას მიმზადებსო.

— რას იწერებოდი იმ წერილში? — შეეკითხნენ დეტექტივები.

— მე თქვენი წერილი ნახევრად გავარჩიე, — დაიტრახაზა ერთ-ერთმა დეტექტივმა.

— ჩემზე ჭკვიანი ყოფილხარ, — მიუგო ცნობილმა სიდნეი ჰოლმმა, — მე თვითონ მას ვერ გავარჩიედი, საიღუმლო, პირობითი ნიშნებისდაგვარად იყო დაჯღაბნილი.

მიკუთხლოვდით დალოცვილ განგს. ეს ისეთი ვანიერი მდინარეა, რომ ქვას მეორე ნაპირზე თუ გადაისვრი, ძირს დაცემამდე საათნახევარი გაივლის. სწორედ მაშინ, მის ნაპირს რომ ჩავუარეთ, ვიღაც ქალი სარეცხს რეცხდა. ძალიან დაიხარა თუ რა იყო, მოკლედ, წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა. მაშინ მე გაქანებულ მატარებლიდან გადავხტი და ის ინდოელი უნიათო დედაკაცი ნაპირზე გამოვათრიე. მე ვფიქრობ. ბიჭებო, ყოველი თქვენგანი ასე მოიქცეოდა.

დეტექტივებმა თანხმობის ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნეს.

რადას ვიზამდი, ხუთი დღე დავკარგე. თან სანადლეოც წავაგე. ვიჭე-ქი წყლის ნაპირას და ვფიქრობდი: ახლა ამ საქმის გაკეთებას ორ კვირა-

ზე აღრე ვერ მოვასწრებ-მეთქი. ათასდროლარიანი სანადლეო ვიზარალე. ერთი ჯამი მსხალიც წავაგე. ამ ფიქრებში რომ ვარ, ნაპირს მოაღდა ჯონკა, ასე ეძახიან ჭილობისიალქნიან პატარა ნავს; შიგ სამი მიხაკისფერი მალაელი თინზაზი კბილებს ისე მიჩვენებდა, თითქოს მათი შესაქმელი ვიყავი. ერთი მათგანი რალაცას მერატრატებოდა: — ნია ნანია ჰზე ხემ ნავსაკი. — წალი შე მასხარა, — ვუთხარი, — მე რა, შენი მესმის რამე? — ნია ნანია ჰზე ხემ ნავსაკი, — რომავდა ისევე, თან დამცინოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეს მის დიდ თავაზიანობას ნიშნავდა. მაგრამ სიტყვა „ნავსაკი“ მივხვდი რასაც ნიშნავდა, ეს—ნავის სადგომია იაბონიაში. მეც სწორედ იქ, ნავსაკში წასვლა მინდოდა. — ნავსაკში? — ვეუბნები, — ამისთანა კისრით? არაფრის გულისათვის. — ნაი, — მიპასუხა და კიდეც რალაცას რატრატებდა, თან თავის ჯონკაზე, ცაზე და თავის გულზე მითითებდა; მოკლედ, ისე გამოდიოდა, თითქოს უნდოდა მას წავყლოლოდი. — ერთი





ჯამი მსხლისათვისაც კი არა, — ვე-
უბნები... უცებ სამივე მიხაკისფერი
ტარტაროზი მომგარდა, მიწაზე დამ-
ცეს, ჯვალში შემახვიეს და შეხვე-
ული ამანათივით ჯონკაში ჩამაგდეს.
თუმცა არ იყო მაინც და მაინც ლა-
მაზი, რასაც იმ დროს გუნებაში
ვეფქრობდი, მაგრამ დაბოლოს ჯვა-
ლოში გახვეულს ჩამეძინა. როცა
გამომეღვიძა, ჯონკაში აღარ ვიყავი.
ვიწექი ზღვის პირას, მზის მაგივრად
უშველებელი ქროზანთემები მალდა
თავზე და ირგვლივ სულ გაკრიალე-
ბული ხეები იდგა. ნაპირზე ყოველი
პატარა ქვიშის მარცვლიც კი სუფ-
თა, გაკრიალებული და გახეხილი
იყო. ამ სისუფთავით მივხვდი, რომ
იაპონიაში ვიყავი და როცა პირველ
ნაწნავიან, ყვითელ კაცს შევხვდი,
ვეითხე: — აბა, ჩქარა მითხარო, სადა
ვარ? — სიცილით მიპასუხა: — ნაგა-
საკში.

ნაგასაკიდან სან-ფრანცისკომდე გე-
მით წავედი. ამ გზაზე არაფერი არა-
ჩვეულებრივი არ მომხდარა, იმას
თუ არ ჩავთვლით, რომ ოკიანეში
ჩვენი გემი აზვირთებულმა ტალღებ-
მა დაღეწა და ჩაძირა. ყველანი
უმალ მამველ ნაევებში გადავსხედით,
მაგრამ ნაევები რომ გაივსო, ორი
მეზღვაური გვიყვიროდა გემიდან, —
აქ კიდევ რჩება ერთი ქალბატონი.
მანდ ერთი ადგილი ხომ არ გექნე-
ბათო.

— არა გვაქვს. — უყვიროდნენ ზო-
გერთები, მაგრამ მე გავძახე: — რო-
გორ არა, აქ მოიყვანეთ-მეთქი.
იმისათვის, რომ ნავში ადგილი გაენ-
თავისუფლებინათ, წყალში მე გა-
დამაგდეს. რომ ვთქვათ, ბიჭებო,
დიდი წინააღმდეგობა არ გამიწევია,
ვეფქრობდი, ქალს ხომ ყოველთვის
უპირატესობა აქვს-მეთქი. როცა გე-
მი ჩაძირა და ნაევებიც წავიდნენ, ამ
თვალუწვდენელ ზღვაში დავრჩი მარ-
ტოდმარტო. შევაჯექი რომელიღაც
მორს და ტალღებზე დავქანაობდი.
სხვა დროს ეს სასიამოვნოც იქნებო-
და, თუმც მთლად დავსველდი. მთე-
ლი დღე და დამე ასე დავტყარავდი
და უკვე ვეფქრობდი, ეს ყველაფერი
ცუდად დამთავრდება-მეთქი, მაგრამ
ამ დროს ჩემთან ხის კოლოფი მო-
ცურდა, შიგ რაკეტები ელაგა. ჯერ
ვიფიქრე, რაკეტები რაში მჭირდება,
მე მსხალი მერჩივნა-მეთქი, მაგრამ
მერე კი მივხვდი; უკუნი დამე რომ
ჩამოწვა, პირველ რაკეტას მაშინ წა-

ვუკადე. რაკეტა, ძალიან მალა აფ-
რინდა, მეტეორივით ანათებდა, მეო-
რე რაკეტა — ვარსკვლავივით და მე-
სამე — მზესავით, მეოთხე ისე შორს
გაფრინდა ზუილით, რომ ვარსკვლა-
ვებში დაიკარგა და დღესაც იქ ანა-
თებს. ასე რომ ვერთობოდი, მომად-
გა უშველებელი გემი და გემბანზე
ამოყვანეს. — კაცო, — მითხრა კაპი-
ტანმა, — ის რაკეტები რომ არ ყო-
ფილიყო, დაიხრჩობოდი, ათი კილო-
მეტრის მანძილზე დავინახეთ მოკია-
ფე რაკეტა, ვიფიქრეთ, ვილაც შეე-
ლას გვეხვეწებაო. მაშ, იმ კარგი კა-
პიტანის სამახსოვროდ ამ მსხალს
შევქვამ.

მსხალი შეჭამა და მხიარულად გა-
ნაგრძო: სან-ფრანცისკოში რომ გე-
მიდან გადმოვედი, ამერიკის მიწაზე
დავადგი ფეხი. ამერიკა, ბიჭებო,
ჩემი სამშობლოა და, მოკლედ, ამე-
რიკაა.

საერთოდ, ამერიკას არც ერთი
ქვეყანა არა სჯობს და ვისაც თავის
სამშობლო არ მოსწონს ისე, რო-
გორც მე ამერიკა, ისე ბებერი ვირია.
ამერიკიდან გემით ამსტერდამში
წავედი. გზაში... ოხ, იქ... გზაში...
მთელი ჩემი მოგზაურობის დროს
ყველაზე კარგი და ყველაზე საინტე-
რესო რამ იქ შემემთხვა. დასწყევ-
ლოს ღმერთმა, ბიჭებო, ჩემი ნამბო-
ბიდან ყველაზე ოინბაზური ის იყო.

— მაინც რა იყო? — მოუთმენლად
შეპყვირეს დეტექტივებმა.

— მოკლედ... — თქვა სიდნეი ჰოლ-
მა და თან ვაწითლდა. — ერთი ქალი
შემიყვარდა, საკმარისად ლამაზი.
ერთი სიტყვით, ალისა ერქვა და
არავინ ქვეყნიერებაზე და არც ვინმე
თქვენგანი იმაზე ლამაზი არ არის.
არა, ჯერ არავინ არის, — დაუმატა
სიდნეი ჰოლმა დაფიქრების შემ-
დეგ. — მაგრამ არ გეგონოთ. რომ
გავუმელავნე, თუ რა რიგ მომწონდა.
დადგა ჩვენი ერთად მოგზაურობის
უკანასკნელი დღე და მისთვის ჯერ
კიდევ არაფერი მეთქვა. ახლა კი იმ
მსხალს შევქვამ.

— ბოროტმოქმედი სადლა იყო?
შეეკითხნენ დეტექტივებო.

— სად იყო? — გაიმეორა სიდნეი
ჰოლმა — ის თავისმა ცნობისმოყვა-

რობამ იმსხვერპლა: წინასწარ ვერც
ცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ამსტე-
რდამში რომ ვიყავი, ერთხელ, ღამე,
კარზე ვილაცამ მომიკაკუნა და შემო-
ვიდა. ეს თვითონ ბოროტმოქმედი
იყო, ფერმკრთალი და აღელვებუ-
ლი. — ბატონო სიდნეი ჰოლ, — მე-
უბნება, — მეტი მოთმენა აღარ შე-
მიძლია, ვთხოვთ შათხრათ, როგორ
გინდათ, რომ დამაპატიმროთ.

— ბატონო ბოროტმოქმედო, — სე-
რიოზული კილითი ვუპასუხე, — მა-
გას ვერ გეტყვით, ეგ რომ გითხრათ,
ჩემს გეგმას გავცემ და გამეჩქევით.

— ოჰ — წუხდა ბოროტმოქმედი, —
შემიბრალებთ, მთელი ღამეები არ
მიძინავს, ისე მაინტერესებს თქვენი
გეგმა.

— იცით რა, — ვეუბნები, — ახლა
გეტყვით, მაგრამ ფიცი დადეთ,
რომ ამ წუთიდან ჩემი ტუსალი ხართ
და რომ გაქცევას არ ეცდებით.

— ვფიცავარ! — წამოიძახა ბოროტ-
მოქმედმა.

— ბოროტმოქმედო! — მივმართე
მას და წამოვდექი, — ჩემი გეგმა, აი,
ამ წამში შესრულდა. აწ იცოდე, შე
ბებერო მატყუარა, რომ მხოლოდ
შენი ცნობისმოყვარეობის იმედი
მქონდა. ვიცოდი, რომ სულ თან
მღევი წყალსა თუ მიწაზე, გინდო-
და გავგეგო, რა ზომებს ვღებულობ
შენს წინააღმდეგ. ვიცოდი, რომ ბო-
ლოს შენ თვითონ მოხვიდოდი ჩემ-
თან, და მოხვედი კიდევ. ვიცოდი,
თავისუფლებასაც კი შეეღეოდოდი,
ოღონდ შენი ცნობისმოყვარეობა
დაგეკმაყოფილებინა, და ასე მოხდა
კიდევ.

ბოროტმოქმედი გაფთრდა, და-
ლონდა და მითხრა: — თქვენ, ბატო-
ნო სიდნეი ჰოლ, დიდი მატყუარა
ვინმე ბრძანებულხართ, მეც კი მო-
მატყუეთ.

ეს არის და ეს, ბიჭებო, მთელი
ჩემი ისტორია.

ჩუბურიდან თარგმნა
ელენე პრისტავაშა

ნავთობი

ნავთობი რთული ქიმიური შემადგენლობის სასარგებლო ნამარხია. მის შედგენაში მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანული ნივთიერების თხიერი ნარევები, ჭარბობენ მრავალი სახეობის ნახშირწყალბადები.

მეცნიერების დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნავთობის წარმოშობისათვის საწყისი ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ზღვებისა და მტკნარი წყლების აუზების გარემოში.

ნავთობი განამარხებულია ისეთი ტიპის დანალექ ქანებში, როგორცაა: ქვიშები, ქვიშაქვები, კირქვები და სხვა.

წყალი, ნავთობი და გაზი დანალექ შრეებში განაწილებულია მათი ხვედრითი წონის მიხედვით. გაზი, რომელიც უველაზე მსუბუქი, შრის ზედა ნაწილშია, შუაში — ნავთობია, ხოლო კიდევ უფრო ქვედა ნაწილში წყალი იმყოფება.

აქ მოთავსებულ ნახაზზე ნაჩვენებია საბადოში გაზის, ნავთობისა და წყლის განლაგების ტიპური სურათი.

შორეულ გეოლოგიურ წარსულში, გარკვეული სახის მცენარეები და ცხოველები სიკვდილის შემდეგ იძირებოდნენ ზღვების ან ტბების ფსკერზე და იმარხებოდნენ წყლის ქვეშ, — ნალექებში.

დროთა ვითარებაში, ორგანული სამყაროთი გამდიდრებული დანალექი ქანები ზემოდან იფარებოდნენ უფრო ახალგაზრდა, შემდეგდროინდელი ნალექი ქანებით. დახშულ არეში, დიდი წნევისა და მაღალი ტემპერატურის გამო იწყებოდა ნამარხი ორგანიზმების დაშლისა და ლბობის ნელი პროცესები.

გამოკვლეულია, რომ ამ პროცესის ჩატარებაში მეტად დიდ როლს ასრულებენ ეგრეთ წოდებული, ანაერობული ბაქტერიები, რომელთაც სიცოცხლე შეძლებიათ 1-2 კმ სიღრმეში, ჟანგბადის გარეშე.

ორგანული სამყაროს პირველადი ქიმიური გარდაქმნის და მათი სახეცვლის სხვა რთული მოვლენების წყალობით წარმოებს ნამარხი ცხოველებისა და მცენარეებისაგან ნახშირწყალბადების გამოყოფა და მათი გადასვლა დანალექ ქანებში. გარდაქმნის ეს პროცესი მიმდინარეობს მეტად ნელა.

შემდგომში, მიწის ქერქის მოძრაობის გამო, ხდებოდა დანალექი ქანების ამოშუქურება, აღრინდელი ზღვებისა და ტბების ადგილას ხმელეთის გაჩენა. ამ დროიდან იწყება ქანებში განამარხებული ნახშირწყალბადების, შედარებით უფრო ჩქარი, მაგრამ მეტად რთული, ნავთობად გარდაქმნის პროცესი.


ნავთობის თითქმის ყველა საბადოში პოულობენ ქანებს, რომლებშიაც გარკვეული სახის, წყლის აუზების ცხოველებისა და მცენარეების ნაშთებია.

ნავთობი და ბუნებრივი გაზები ქანებში იმყოფებიან თხიერ ან გაზობრივ მდგომარეობაში, იმისდამხედვით, თუ სად და როგორი მდგომარეობა არსებობს. მაგრამ ნავთობის ყველა საბადო როდი იმყოფება თავისი ჩასახვისა და წარმოშობის ადგილებში. ზოგჯერ ხდება ნავთობის „მიგრაცია“, ე. ი. გადაადგილება. მიგრაციას სხვადასხვა მიზეზები იწვევენ. ერთ-ერთი მიზეზთაგანია ნავთობშემცველი ქანების გამკვრივება, რასაც მათზე ზედა ფენების დაწოლა იწვევს.

ქანების გამკვრივება იწვევს საბადოდან ნავთობის „გამოწურვას“ და მის გადანაცვლებას ზოგჯერ მეტად შორ მანძილზე, შედარებით კარგად გამტარ ქანებისაკენ.

გიორგი ჭავჭავაძე,

გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ც ხლოდა. ამხანაგებთან ერთად მანქანით სამხრეთ აფრიკის უკიდურეს სანაპიროს მივყვებოდი. ზღვის ტალღები ნელ-ნელა მოგორავდნენ ნაპირისკენ, ქაფი თეთრ ზოლად გაიფლავებდა და უმაღლვე ქრებოდა. ნაპირზე ზანგ ბავშვებს მოეყარათ თავი; ერთნი ბანაობდნენ, სხვები კი ქვიშაზე ჩხირით რაღაც ხაზებს ავლებდნენ. მანქანა გაჩერდა. ბავშვებმა შეშინებული თვალებით შემოგვხედეს. ზოგი ზღვაში შევარდა, უფრო გაბედულები კი ადგილიდან არ დაძრულან. სიცილით მივუახლოვდით ბიჭუნებს, მივესალმეთ და ერთ მათგანს ვკითხე: —თქვენ, ალბათ, კარგად ცურავთ, არა?


ბიჭუნამ გაიღიმა, ჯერ ზღვას გახედა, მერე შემოგვხედა და მორიდებით თქვა: —ვცურავთ, კარგად ვცურავთ, ჩვენ ვერვინ ვერ გვაჯობებს.

ვალოდიათ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა: — რა გქვია?

— ნაბი.

— ნაბი! ოპო, მშვენიერი სახელია! შენ ძალიან ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ, იცოდე, მე გაჯობებ!

ნაბიმ იგრძნო ჩვენი გულკეთილობა და ამიტომაც გაბედულად გაიშვირა ხელი ზღვისაკენ: —აგერ ზღვა და აგერ ჩვენც, გამოჩნდება ვინ უფრო კარგად ცურავს! — ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ, უეცრად, საშინელმა კივილმა მიიბყრო ჩვენი ყურადღება. მარცხნივ, სულ ახლოს, სამი ბავშვი ყვირილით ნაპირი-



გიორგი ქარღველიძე ნახ. დ. ხახუტაშვილისა

სუპერმანი

საკენ მოცურავდა. მაშინვე იქით გავიქეცი. ყველაფერი ერთ წუთში მოხდა — ორმა მეჩერზე მოასწრო ასვლა, რომ უეცრად წყალი აიმღვრა, რაღაცამ გაიფლავა და მესამე ბავშვი წყალმა შთანთქა.

— რა იყო, რა მოხდა? — განცვიფრებულნი მივცვივდით ბიჭებს.

— ზვიგენმა, ზვიგენმა მოიტაცა! — ტირილით გვიბასუხეს ბიჭებმა.


ამ ამბავმა ძალიან შეგვაწუხა. ცრემლები მოგვაწვა, დაღონებულნი გავყურებდით ზღვას...

ბავშვები ისევ ტიროდნენ და წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ მტაცებელს. დრო და დრო ჩვენ გადმოგვხედავდნენ გაკვირვებულნი. სიჩუმე ისევ ვალოდიათ დაარ-

ღვია: — რატომ მიყურებ, ბიჭიკო, ასე? — კითხა მან ერთ-ერთ ბავშვს.

— თქვენ კარგი ძიები ხართ, სერ! — ტირილით უბასუხა ბავშვმა, — ჩვენი ამხანაგი გეცოდებათ! ის ძალიან კარგი ბიჭი იყო, ყოჩაღი. გასულ წელს აბაბიც ზვიგენმა წაიყვანა. მაშინაც იყვნენ აქ თქვენსავით თეთრი ძიები, მაგრამ მათ გაეხარდათ აბაბის დაღუპვა; იცინოდნენ, მხიარულად გვაქეზებდნენ, რკინის ფულს მუჭში აჩხრიალებდნენ და გაიძახოდნენ: „აბა, ვინ არის კიდეც ყოჩაღი, ვინ შევა ზღვაში? ვის უნდა გამდიდრებაო“. ბავშვი გაჩუმდა. ჩვენც მდუმარედ გავყურებდით ზღვას. ტალღები ნელ-ნელა მოგორავდნენ ნაპირისაკენ, ქაფი თეთრ ზოლად გაიფლავებდა და უმაღლვე ქრებოდა.

სამართალი



ქქქ

ლი არ შეუძლია, ლაპარაკი არ შეუძლია, მხოლოდ ჭყავილი იცის... მომისმინე ნიკო, მე დათუნას აქ დავტოვებ, ბიჭებთან ბურთის სათამაშოდ გავიქცევი, კარგი? ოღონდ, იცოდე, დედაჩემს არ უთხრა.

ნიკო— ჩვილი ბავშვის მართო დატოვება არ შეიძლება.

სიკო— არაფერი არ მოუვა. იწვეს სუფთა ჰაერზე, გაიზრდება!

ნიკო— სიკო, სწორად არ იქცევი.

სიკო— არა, სწორად ვიქცევი!

მოკმედი კირნი:

1. ნიკო
2. სიკო
3. მანანა
4. მასურბელი ბიჭი
5. მასურბელი გოგონა

კეთილშენის შობილდაპირე მხრიდან გამოვიან ნაკო და სიკო. სიკო მოგორებს გადასურულ საბავშვო ეტლს).

ნიკო— გამარჯობა, სიკო! რატომ ხარ ასე დაღონებული?

სიკო— როგორ თუ რატომ? არდადეგებზე ყველა ბავშვი ისვენებს, ერთობა, დადის კინოში, ცირკში, მე კი დედამ დამავალა— ჩემი ძამიკო ვასეირნო; დავაგორებ ამ ჭყავანას საბავშვო ეტლით. განა ეს მოსაბეზრებელი არაა? ყველა ბავშვი დადის კინოში, ცირკში... მე კი... დღეს ეზოში ბიჭებთან ფეხბურთი უნდა მეთამაშნა, და ამ დროს დედა მეუბნება: შენი ძამიკო ასეირნეო. აი, ახლა დავაგორებ ამ ჭყავანას და...

ნიკო— მერე რა მოხდა, ყველა ბავშვი ეხმარება მშობლებს: ზოგი ოთახს ჰგვის, ზოგი სუფრას შლის ხოლმე, ზოგი პურის მოსატანად გარბის. (მასურ-

გადმოაქართულა
სიკო ლოკოტიფანიქმა
ნახატები ელშარდ ამგოკაქისა

ჩებლუხს) ხომ მართალს ვამბობ, ბავშვებო?

მასურბლები— სწორია!

სიკო— ამით არ დაუჯერო, ესენი... (მასურბელ ბიჭებს) აი, შენ, მაგალითად, შენიანებს ეხმარები?

მასურბელი ბიჭი— ვეხმარები!

სიკო— მერე რა, მეც ვეხმარები; მაგალითად, გუშინ დედამ უზარმაზარ ქვებში გააკეთა კისელი. მე მიგუჯექი მაგიდას და გეახელი. (მასურბელ გოგონას) აი, შენ, შენ ეხმარები დედას?

მასურბელი გოგონა— ვეხმარები!

სიკო— განა მე კი არ ვეხმარები? მე, მაგალითად. გუშინ სადილობის დროს, შემთხვევით, თეფში გავტეხე!

ნიკო— მერე ეს რა დახმარებაა?

სიკო— როგორ თუ რა დახმარებაა? ახლა ხომ დედამ ერთი თეფშით ნაკლები უნდა გარეცხოს! (ჩაიხედავს საბავშვო ეტლში) ძლივს არ ჩაეძინა. თორემ სულ ჭყავდა და წრიბინებდა. სიარუ-

— ბატონო მასწავლებელო, არა მგონია, რომ ერთიანი დამემსახურებინოს.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო დაბალი ნიშანი არ იწერება.

დედამ მართა სტუმრად წაიყვანა. ეზოში რომ შევიდნენ, წინ პატარა ძალი შემოეგებათ.

— ნუ გეშინია, შვილო, ხომ ხედავ, კულს გიქნევს, — დაამშვიდა დედა.

— მე კუდიდან კი არა, მეორე ბოლოდან მეშინია, დედიკო, — უთხრა პატარამ.

— როგორ მოგეწონა, შვილო, ოპერა, მსახიობებმა კარგად იმღერეს? — ჰკითხა მამამ დილის სპექტაკლიდან დაბრუნებულ პატარა ერიკს.

— არა მგონია, მამიკო, რადგან ზოგიერთი ადგილის გამეორება მოუხდათ, — მიუგო ბიჭუნამ.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილი

სამართალი



ნიკო — მოდი, ბავშვებს შეგეკითხოთ.
(მაყურებლებს) ბავშვებო, სიკოს
ასეთი მოქცევა კარგია თუ ცუ-
დი?
მაყურებლები — ცუდი!
ნიკო — რა თქვეს ბავშვებმა, გაიგონე?
სიკო — რა თქმა უნდა, გაეგონე.
ესენი ამბობენ — ბურთიო!
ნიკო — რა ბურთი?
სიკო — ბურთი ითამაშეო. აბა, წა-
გედი. (სიკო გარბის).
(შეშორდის მანანა)

მანანა — ნიკო, პა, ნიკო, შენი მე-
გობარი სად არის?

ნიკო — ვინ? სიკო? ფეხბურთის სე-
თამაშოდ გაიქცა!
მანანა — მერე, ბავშვი მიატოვა?
დედამისმა დამაბარა, ბავშვს
უნდა ვაჭამო, მომიყვანოსო.
რას იზამ, მე მივუყვან (ეტლს
ხელს ჰკიდებს)
ნიკო — მოიცა, მანანა. (მაყურებლებს)
მე მგონი, რალაცა მოვიფიქრე.
მანანა, შენ ბავშვი დედას ხე-
ლით მიუყვანე. მე და სიკო
ეტლს შემდეგ მოვაგორებთ.
მანანა — უი, რა კარგია! მიყვარს
პატარების ხელში აყვანა (ბავ-
შვი ამოჰყავს სახავშვო ეტლთან,
გულზე მიიხუტებს და რწევით გა-
ჰყავს).
ნიკო — ახლა კი გამიმავრდი, სიკო,
ისეთი ოინი გიყო, რომ...
(ჩაიხედავს სახავშვო ეტლში) აი,
მაწოვარაც აქ ყოფილა.
(ნიკო ჩაწევა სახავშვო ეტლში და
მიმართავს მაყურებლებს) ბავშვე-
ბო, არ გამცეთ, კარგი?
მაყურებლები — კარგი!
ნიკო — მაშ ასე, შეეთანხმდით (მაწო-
ვარას პირში იდებს) ოი, ოი, ოი,
ახლა აქ რა მოხდება!!!
(შეშორდის სიკო)
სიკო — ოჰ, რა შავრად მოვარტყი
მიტოს ბურთი ცხვირში! გოგის
რა კოხტად დავუდე ფეხი! მარ-

მე მაყვარს თქვენი ხმაური

ერთბაშად იცით ანთება
ვარდებად,
ოლენანდრებად,
როგორც კი ცოტა დათბება,
როგორც კი დარი დადგება;
აყიენდებით ხმამაღლა,
როგორც ცისფერი ჩქერები;
იქროლებთ,
ირბენთ მხარ და მხარ,
გასაჭირს შეუჩვევლები.

გაგუ მკაპრიოვილი

ხართ ამაყები,
ლაღები,
ნათელი,
დიდი მიზნებით.
თვალ და ხელ შუა
მალღლებით,
თვალ და ხელ შუა
იზრდებით.
გქონდეთ სიმღერის
სურვილი.

გქონდეთ გართობის
სურვილი,
წყურვილი ცოდნის შეძენის,
სწავლის და შრომის
წყურვილი.
ახარეთ დედა სამშობლო, —
ტკბილი,
ლამაზი მამული...
მე მიყვარს თქვენი სილაღე,
თქვენი სიცოცხლის ხმაური.

თლა, ნიკო რა იქნა? არცკი მომიცადა, წასულა! მაგასაც ამხანაგი ჰქვია რა! წავიდა და წავიდეს... აბა, ჭყავანავ, წავედით (დააგორებს ეტლს). ვაი, რა მძიმეა!

ნიკო— (ხაზავშვო ეტლიდან) იმიტომ რომ, გავიზარდე!

სიკო— ვაი, ლაპარაკი დაუწყია!

ნიკო— ჰო, ლაპარაკი ვისწავლე. სახლში რომ მივალთ, ყველაფერს დედიკოს ვუამბობ.

სიკო— აი ესეც შენ, ჩემო თავო! განა რამდენ ხანს ვთამაშობდი, —ამას უკვე ლაპარაკი უსწავლია! მომხვდება, ნამდვილად მომხვდება.

ნიკო— მოგხვდება და მერე როგორ!

სიკო— დათუნი, ჰა, დათუნი, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ! დედიკოს არაფერს ეტყვი!

ნიკო— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი.

სიკო— ენატანიანობა კარგი არ არის.

ნიკო— პატარა ბავშვის მარტო მიტოვება კი კარგია? (ჭირის ბოხი ხმით).

სიკო— მე შეტს აღარ ვიზამ. ალუ,

ალუ დათუნასა, ალუ, ალუ დათუნისა!

ნიკო— ხან ალუ-ალუს მეუბნები, ხან კი ჭყავანას მეძახი! აბა, ახლავე მიმღერე რამე.

სიკო— აბა, რა გიმღერო!

ნიკო— მე შენ გეუბნები, მიმღერე-მეთქი!

სიკო— (მღერის ყალბი ხმით)
ნანი-ნანი, ნანაო,
გენაცვალოს მამაო,
სძინავს თავგსა და ჩიტებს,
შენ მარტო არ იძინებ!
სძინავს ცხენს, სძინავს

თხას,

სძინავს აქლემს და ვირთხას.

ნიკო— კიდევ მიმღერე!

სიკო— სძინავს კურდღელს და სპილოს,
სძინავთ ბუზებს, სძინავს ლომს,
სძინავს ცუვას და მამალს,—
ფეხსაცმელებს და შარვალს!

ნიკო— ძალიან ცუდად მღერი. ახლა იციკვებ!

სიკო— არაფრის გულისთვის არ ვიციკვებ!

ნიკო— არ იციკვებ და ყველაფერს ვეტყვი დედიკოს.

სიკო— უჰ, შე ჭყავანა შენა! (ცეკვავს).

ნიკო— ახლა ყირაზე გადადი!

სიკო— ეს რა დღეში ჩავვარდი! (გადაღის ყირაზე).

ნიკო— ახლა გამატარ-გამომატარე.

სიკო— შენ ბავშვი კი არა—ჯალათი ყოფილხარ. (დააგორებს ხაზავშვო ეტლს).

ნიკო— სწრაფად! ცოცხლად! სირბილით!.. (სიკო დაარბენინებს ეტლს, ნიკო მღერის)

გამაქროლე მალე,
ნულარ გამაწვალე!
სიკო, არ დამზარდე,
ნახე,—გავიზარდე!

(ნიკო ამოხტება ხაზავშვო ეტლიდან. სიკო შიშხიანად ეტლს ხელს გაუშვებს და ყვირილით გარბის. ნიკო მას უკან „უა-უა“ ძახილით მისდევს).

(ფარდა)



სულხან-საბას ლექსიკონში ერთხელ ასეთ სიტყვას მოვკარი თვალი:

„ხანული — რძის მოზიარე დიაცნი“.

მაშინ გამახსენდა ჩემს პატარაობაში გავონილი ანდაზა, რომელიც მეტჯერ აღარსად შემხვედ-

რია: „ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდაო“.

— ხანულობა რა არის-მეთქი, —დედას რომ შევეკითხე, ასე ამიხსნა:

—უწინ, მეზობლობაში იცოდნენ თურმე ამგვარი შეამხანაგება: ხელმოკლე დედაკაცები, ვისაც თითო ფური ჰყავდა (მეწველი ძროხა ან კამეჩი), შეეზიარებოდნენ ერთმანეთს: ერთ დღეს ერთთან მიიტანდნენ თავ-თავის რძეს, მეორე დღეს—მეორესთან. ასე, რიგრიგობით ყველას მოუწევდა ბლომა რძის დაგროვება ერთბაშად, და სათითაოდ დღეებავდნენ თავ-თავისთვის. თან, ანგარიში რომ არ შემლოდათ, ჯოხზე აქდევდნენ დღეების რიცხვსო.

ასე ყოფილა ძველად კერძო მეურნეობაში; ამგვარი ნატურ-სესხის ჩვეულება გადავარდა, და ანდაზასაც ყავლი გაუვიდა; დამკვიდრებული კი ნამდვილად იქნებოდა, თუ კი სულხან-საბამ თავის ლექსიკონშიც შეიტანა და განმარტა.

ეგებ შეხვდეთ რაიმე იშვიათ ანდაზას, სიტყვის მასალას, სიტყვას, ჩაიწერეთ, ყურს იქით ნუ გაუშვებთ.

მანავლა მრავლიწმილი

უბადლოსი გასწორება
„პიონერის“ მე-4 ნომერში, განყოფილებაში — „რა და რა ჰქვია რას და რას“ (გვ. 30) სამხვერლოს ნაცვლად უნდა იყოს: სამხვეწილო.



ბადმინტონი

უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში ძალზე პოპულარული გახდა ახალი თამაში — ბადმინტონი.

ბადმინტონს დიდი ხნის ისტორია აქვს. XIV საუკუნეში, იაპონიაში გავრცელებული იყო თამაში — თიბონე. ამ თამაშში ჩოგნებს ხისას ხმარობდნენ, ბურთის მაგივრობას კი მრგვლად გამხმარი ხილი სწევდა (ნაყოფს ბატის ან ქათმის ფრთებს ჩაარჭობდნენ და ისე ახმობდნენ).

ევროპაში ფრთიანი ბურთებით თამაში შუასაუკუნეებში შემოვიდა. ეს თამაში რომ პოპულარული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ იგი დიდ გერმანელ მწერალს — შილერს აქვს მოხსენიებული „ღონ კარლოსში“.

შემდგომ, ამ თამაშმა ევროპაში დაკარგა პოპულარობა და თანდათან გაჰქრა. XIX საუკუნეში ფრთიანი ბურთით, ამჯერად ინდოეთიდან, კვლავ მოევლინა ევროპას.



მაში გამართა. ჰერცოგის ამ ადგილ-სამყოფელს ბადმინტონი ერქვა; ეს საკმარისი გახდა, რომ ფრთიანი ბურთით თამაშს ბადმინტონი ღარქმეოდა.

ბადმინტონი ახლა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. უკვე

კარგა ხანია, ტარდება არაოფიციალური მსოფლიო პირველობა და მასში მრავალი ქვეყანა მონაწილეობს.




ჩეგები

ჩეგები — ამერიკაში დიდად გავრცელებული სპორტული თამაშია. თვითეულ გუნდში 15 მოთამაშეა, ბურთი ოვალური ფორმისაა და მძიმე. ჩეგების სათამაშოდ იყენებენ ფეხბურთის მოედნებს, კარები სივანით რვა მეტრი და სიმაღლით სამი მეტრი უნდა იყოს. თვითეული გუნდის მოვალეობაა, ბურთი გადააცილოს მოწინააღმდეგის კარის ხაზს, ან ძელს ზემოდან გადაადგოს. ჩეგების ძალზე მარტივი თამაშის წესები აქვს. ბურთის გადაცემა და ტარება ხელითაც შეიძლება და ფეხითაც, თუ ეს ვერ მოახერხე, შეგიძლია ბურთი მკერდში ჩაიკრა და ისე ირბინო მოწინააღმდეგის კარამდე; მაგრამ, უნდა გახსოვდეს, — მოწინააღმდეგეს შეუძლია ხელით დაგიჭიროს, ფეხი გამოგდოს, წაგაქციოს.

ჩეგების თამაში დიდ ძალღონესა და სისწრაფეს მოითხოვს. იგი ნამდვილი ვაჟკაცური თამაშია.

საბჭოთა კავშირში ეს თამაში ახლახან შემოვიდა, საქართველოში კი მისი ნაირსახეობა — ლელო — უხსოვარ დროიდანაა გავრცელებული.

ნანაბი-ხუმრობა
ბულგარეთის ჰიონარულ
გაზეთიდან



**50-პილოზარმიანი
პორტფელი**

იპონის ერთ-ერთ ცნობილ ძალოსანს—მიაკეს ორიგინალური წესი აქვს: იგი მუდამ თან ატარებს პორტფელს, რომელშიც 50-კილოგრამიანი ტვირთი დევს. ამას წინათ, მიაკემ მალაზიაში შეიარა. იგი რაღაც ნივთს ათვალეობდა; პორტფელი იქვე, დახლზე დადო. მახლობლად მოწრიალე ქურდმა ამით ისარგებლა, პორტფელს ხელი სტაცა და... ხმაურით დაუფარდა იატაკზე... ქურდი შეიპყრეს.

**კურდღელმა მოკლა...
მიმინო**

აი, რას გვიამბობს ბიოლოგი ბ. ვოდოპიანოვი:

— მოულოდნელად, მაღლიდან შხუილი მომესმა. ავიხედე და მიმინო დავინახე. იგი ჰაერში შეიკუმშა და კურდღელს ელვის სისწრაფით დააცხრა ზურგზე. კურდღელი სიმწრისაგან დაიგრიხა, ზურგზე გადაბრუნდა და მტაცებელს გაუსხლტა. მიმინომ ბასრი კლანჭები წინ გაიშვირა და გაქცეულ კურდღელს დაედევნა. ტყის პირას პატარა მიწოდორზე წამოეწია დაიჭირა და თავში ჩაუნისკარტა.

როცა ადგილზე მივირბინე, გავოცდი: კურდღელი დაფეთებული გარბოდა ტყისკენ. ფრთებჩამოყრილი მტაცებელი კი მიწაზე ეგდო. მიმინოს მუცელი ჰქონდა გაფატრული. როგორც ჩანს, ვიდრე მე მივირბინე, კურდღელმა ისევ მოახერხა ზურგზე გადაბრუნება და უკანა თათებით სასიკვდილო დარტყმა აგემა მიმინოს...

მელა სახლს დარაჯობს

ერთმა იუგოსლაველმა ფერმერმა მელის ლეკვი დაიჭირა, შინ მოიყვანა და გაზარდა. ერთი წლის განმავლობაში



ბაში წვრთნიდა ფერმერი მელას,— ასწავლიდა სახლ-კარის დარაჯობას. და აი, ახლა, ფერმერის ეზო-კარს, ძაღლის ნაცვლად, მელა დარაჯობს. იგი თავის მოვალეობას ხალისით და ბეჭითად ასრულებს. მისი ნაკლი მხოლოდ ისაა, რომ ძალიან გაწუწკადა: ფერმერის ბავშვების მიერ განებივრებული მხოლოდ ხორცსა და ტკბილეულს მიირთმევს.

ხე სანთლებს იხსამს


თურმე, მხოლოდ ცვილისა და სტეარინის სანთლები როდღე გამოიყენება ბინის გასანათებლად.

ალიასკის წყლებში ცხოვრობს პატრა თევზი—ეულახონი. იგი ისეთი მსუქანია რომ, თუ მას პატრუქს გაუყრით და მოუკიდებთ,—სანთელივით აკაშკაშდება.

უკვამლოდ და თანაბრად ამუქებს პანამის სანთლის ხის ნაყოფი. პანამელები ამ ნაყოფს შანდალში ათავსებენ და ანთებენ. იგი ისევე იწვის და ანთებს, როგორც ჩვეულებრივი სტეარინის სანთელი. სანთლის ხის ნაყოფი მოყვანილობით ბანანს წააგავს, ოღონდ უფრო გრძელია და შეიცავს 60 პროცენტამდე ცხიმს.

**მოსისხლე მხრავი
დაევაგოზრდნენ**

ნიუ-იორკის ერთ-ერთ სამეცნიერ-



რო-საკვლევ ლაბორატორიაში გაუგონარი ამბავი მოხდა.

ერთხელ, ლაბორატორიაში საცდელად მოიყვანეს თავი, სახელად ოლივერი. როგორც კი იხელთა დრო, თავმა ისკუპა და პირდაპირ კატის გალიაში შევარდა. მაგრამ... არც თავი დაბნეულა და არც კატა განრისხებულა. პირიქით, ორივენი ხელად „გაეცნენ“ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. უკვე ნახევარი წელია, კატა და თავი ერთ გალიაში ცხოვრობენ. ვინ იცის, ოდითვე მოსისხლე მტრები იქნებ საერთო უბედურობამ—ტყვეობამ დაამოხილა!



ახირებული მგზავრი

რო-დე-ჟანერიოდან სან-პაულოში მიმავალი თვითმფრინავის აფრენის წინ, სტიურდესამ, ჩვეულებრივ, მგზავრთა სიის ამოკითხვა დაიწყო. „სენიორა მარია და კუნა“, — ამოკითხა მან ერთ-ერთი მგზავრი ქალის გვარი. ქალმა ერთი ამბავი ატეხა: ვადაჭრით მოითხოვა, სიაში შეეტანათ მისი სრული გვარი: მარია ტერეზა-ფრანცისკა და ასის და დონიეპაო და დონა დეს ნესესენდა დოს და საგდასო დოროკაო დეს იეზუს პერეირა და კუნა...


ამ ფორმლობის დაცვის გამო, თვითმფრინავი სან-პაულოში საათნახევრის დაგვიანებით მივიდა; სტიურდესამ იძულებული იყო, ყოველ მგზავრზე, დაშვებისა და აფრენის წინ, ახირებული მგზავრი ქალის სრული გვარი ამოკითხა.

ოვების სტატისტიკა


ავსტრიის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის გამოანგარიშებით, უკანასკნელი ექვსი ათასი წლის განმავლობაში დედამიწაზე მოხდა 14.500 ომი, რომლის დროსაც დაიხოცა სამი მილიარდი კაცი. ამ ომების ხარკი ხუთ კვადრილიონ შეიკარულ ფრანკს შეადგენს. ექვსი ათასი წლის მანძილზე დაიღო 4.711 ხელშეკრულება, პაქტი და შეთანხმება, რომელგათან მხოლოდ 14 განხორციელდა.



წიკ-წიკი



„წიკ-წიკ, პაწიკ“



გამომცემლობა „ნაკადულმა“ ნორჩ მკითხველებს კიდევ ერთი ნობათი მიაჩრთვა, — გამოსცა

გივი ჭიჭინაძის ლექსების პირველი წიგნი „წიკ-წიკ, პაწიკ“.

გივი ჭიჭინაძე ახალგაზრდა პოეტია, მაგრამ მისმა ლექსებმა უკვე საკმაოდ გაიდგეს ფესვები ნორჩი მკითხველის გულში. და ეს იმიტომ, რომ პოეტმა კარგად იცის ბავშვის ბუნება, ინტერესები, იცის, — როგორ და რაზე ესაუბროს მას. პოეტის ლექსები გამოირჩევიან სისადავითა და უშუალობით, მათი ფაბულა მარტივია, — სკოლამდელი ასაკის ბავშვის გონება

ადვილად აღიქვამს მას „მამლაყინწა მამალოს“, „ყველას ძილი ნებისას“ და სხვა ლექსების ავტორს ეხერხება საგნებისა და მოვლენების ხატოვნად ასახვა, ბავშვისათვის თემის გასაგებად მიწოდება.

გივი ჭიჭინაძის სახით ქართულ საბავშვო მწერლობას კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი შეემატა.



გამოსახე და შარადევი

მოხდენილი შარადევი და გამოცანები ბავშვს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას და ამახვილებს მის გონებას.

ამას წინათ გამომცემლობა „ნაკადულმა“ გა-

მოსცა შოთა ამირანაშვილის შარადევისა და გამოცანების კრებული. ადრე ეს შარადევი და გამოცანები „პიონერისა“ და „დილას“ ფურცლებზე იბეჭდებოდა და ბევრ მათგანს თქვენ კარგად იცნობთ.

შოთა ამირანაშვილის ხატოვანი შარადევი და გამოცანები გონების კარგი სავარჯიშოა.



ბიჭუნა მალაზიძე შევიდა დედისთვის საჩუქრის საყიდლად. გამოიცანით, რა იყიდა მან.

ბარეძანის 1-ლი გვირგვინი მხატვრობა — ბავშვთა ფრესკებისა

რედაქტორი მუხრან მატუაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზილინა ბერიძე, როსტომ ვლანიძე, იაგო ვარდოსანიძე, კვიციანი ნინოზი, ჯუანვერ კვარაცხელია, სერგო კვლიაშვილი, ვუკაბ ლეშაშვილი (პ.მგ. მდივანი), მარიჯანი, ბავშვთა ფრესკების (სამხატვრო რედ.), ბიორკი შატბერაშვილი.

<p>ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91 ტელეფონები: რედაქტორის — 5-17-78 აეროფოსტა — 5-07-43</p>	<p>„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевахова, 91. გამომცემლობა ნაკადულმა. უფ. 04291 ტირ. 33.500. პირ. ფორ. რაოდ. 4¹/₂ ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 27/IV-64 წ. სტამბის შეჯ. 879. გამომც. შეჯ. 205. საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>ფასი 20 კაპიკი</p>
---	---	---------------------------

სიკვდილი



სიკვდილი

(ხალხური ზღაპარი-ბამოცანა)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სამეფო, სადაც სიკვდილმისჯილი მთლად გუნჯირული როდი იყო... ჩადებდნენ ყუთში ორ ქალაღდს; ერთს ეწერა „სიცოცხლე“, მეორეს—„სიკვდილი“.

ამ სამეფოში ცხოვრობდა ერთი კეთილი კაცი. ამ კეთილ კაცს გადაეკიდნენ ბოროტი ადამიანები, შეშურდათ მიხი კაიკაცობა, იმდენი ტყუილი და ჭორი მოუგონეს, რომ დააჭრინეს. სასამართლომ სიკვდილი მიუხაჯა. მაგრამ მურიანები და ბოროტები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ, სასამართლოსაგან მალულად, ყუთიდან ამოიღეს ის ფურცელი, რომელზედაც „სიცოცხლე“ ეწერა და მის ნაცვლად ჩააგდეს მეორე, —წარწერით: „სიკვდილი“.

ზეიმობდნენ და ურცხვად ხითხითებდნენ ბოროტები; იმ ვაჟბატონმა რომელი ფურცელიც არ უნდა ამოიღოს, —სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა; —სასიკვდილოდ განწირულ კაცს მეგობრებმა შეატყობინეს ყოველივე ეს და თან ურჩიეს—ემხილა ბოროტი ადამიანები სასამართლოს წინაშე. სიკვდილმისჯილმა მეგობრებს მადლობა გადაუხადა და სთხოვა: ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახეთ და ნურავის ნუ გაუშხელთო.

—საცოდავი, უსამართლობამ ჭკუაზე შეშალა, სასიკვდილოდ განწირულ კაცს ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც შევუსრულოთო, —გაიფიქრეს მეგობრებმა.

სიკვდილმისჯილმა ამოიღო ქალაღდი და... სასამართლომ იგი ვაანთავისუფლა! რატომ? როგორ?

პასუხს მკითხველისაგან ველით!

ჩაწერა ვლ. გვირგვინაძე

აკასნორი აღნეკა

ლოგიკური ამოცანა

მიდიოდა მოსახლეობის აღწერა. ერთ უზარმაზარ სახლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. თვითელი ოჯახი მხოლოდ ქმრის, ცოლისა და მათი შვილებისაგან

შედგებოდა, — არც ერთ ოჯახში არ იყო ოჯახის სხვა წევრი. ამ სახლის მობინადრეთა აღმწერმა, საქმის გაიოლების მიზნით შემოღებანი აღწერა შეადგინა: „ამ

სახლში უფროსები უფრო მეტია. ვიდრე ბავშვები. თვითელ ბიჭუნას ჰყავს და ბიჭები მეტია, ვიდრე გოგონები. უშვილო ოჯახი ამ სახლში არ არის“.

ეს აღწერა დაწუნებულ იქნა. მაგრამ არა იმის გამო, რომ უცნაური ფორმით იყო ჩატარებული, არამედ იმის გამო, რომ იგი არასწორი იყო. რატომ?

პასუხები ლოგიკურ ამოცანებზე („პიონერი“ № 4)

306 რა და რამდენი დანიშირა?

ყველაზე ნაკლები ქულა მოაგროვა ვიამ. მაგრამ, გოგიტასთან ერთად, მას 9 ქულა აქვს. არ შეიძლება ვიას ჰქონდეს ერთი ქულა, რადგან მან ყველაზე მეტი თევზი დაიჭირა. ვამოდის, რომ ვიას აქვს 2 ან 3 ქულა, გოგიტას—7 ან 6. დათოს და ზაზას, შესაბამისად, 4 და 5 ქულა აქვთ. რადგან ვიამ ყველაზე მეტი თევზი დაიჭირა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაჭერილი უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 3 თევზისა. წინააღმდეგ შემთხვევაში—ყველა დანარჩენს დაჭერილი უნდა ჰქონდეთ თითო თევზი. თუ ამას დავუშვებთ, დაჭერილი თევზების საერთო რიცხვში ვერ ჩავთვლით ოთხ ღორჯოს. ვინაიდან ვიამ

დაიჭირა, სულ ცოტა, 3 თევზი და მოაგროვა, სულ ბევრი, 3 ქულა, —გამოდის რომ მას დაუჭერია 3 ვენახა.

ახლა, დარჩენილი 15 ქულა ვავანაწილოთ დანარჩენ 3 მეთევზეზე. ნუ დავგვიწყდება, რომ არც დათოს, არ გოგიტას, არც ზაზას არ დაუჭერია ორ თევზზე მეტი; მათ შორის ქულები მხოლოდ და მხოლოდ ასე შეიძლება განაწილდეს 5, 4 და 6 (6 ქულა გოგიტასის), 6 ქულას სჭირდება 3 ღორჯო.

მაშ ასე: გოგიტამ მოაგროვა 6 ქულა. მას ამისათვის უნდა დაეჭირა მხოლოდ ორი თევზი (ამ რიცხვში არ შეიძლება შედიოდეს წვერა, რადგან ის, როგორც უკვე ვიცით, დათომ დაიჭირა). გოგიტას უნდა დაეჭირა მხოლოდ ქაშაყი და ღორჯო. დარჩა ორი

ღორჯო, რაზეც მოდის 4 ქულა წვერას დაჭერას სხვა არაფერი დაუჭერია, რადგან წვერა ფასდება ხუთ ქულად.

საბოლოოდ: გოგიტას—6 ქულა (ქაშაყი და ღორჯო), დათოს—5 ქულა (წვერა), ზაზას—4 ქულა (ორი ღორჯო), ვიას—3 ქულა (სამი ვენახა).

306 პასუხი სარკე?

თუ დავუშვებთ, რომ სარკე გატეხა არჩილმა, მაშინ სწორი იქნება ზურას, ვიას და ვაგას პასუხები. სარკის გატეხად რომ ჩავთვალოთ არა არჩილი, არამედ დანარჩენი რვა მოსწავლიდან რომელიც გინდათ ერთ-ერთი, —მაშინ სწორი აღმოჩნდება ოთხი მოსწავლის პასუხი, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას.